# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 იანვარი 2005 №16 (2339) ფასი 50 თეთრი



**ექსკაპიტნის ახალი გამოწვევა**

კახი ცხადაძე პროფესიას იცვლის

2



**ფეხბურთი ფორმულა 1-ია**

კობა ჟორჟიკაშვილი: 17 წელი ჩემი ასაკია

3



**კუპერმა რივალდოს მალიორკა უხსენა**

ბრაზილიელი ესპანეთზე იფიქრებს

6

## ვისთვის გამოიძახა ჟირესმა ასათიანი: თავისთვის თუ მაურინიუსთვის?

მალხაზ ასათიანი და ინგლისური „ჩელსი“ — ბოლო დროს ამ ფეხბურთელს და ამ კლუბს ხშირად ერთად იხსენიებენ.

ხან ამბობენ, მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი მოთამაშის რუს ოლიგარქ რომან აბრამოვიჩის გუნდში გადასვლა გამორიცხულიაო, ხანაც იტყვიან, რომ ეს ამბავი თითქმის გადაწყვეტილია.

მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ 9 თებერვლის საქართველო — ლიტვის ამხანაგური მატჩისთვის ალენ ჟირესმა, ნებსით თუ ლონდონელთა თხოვნით, მალხაზ ასათიანი საგანგებოდ „ჩელსისთვის“ გამოიძახა. როგორც შევიტყვეთ, გამორიცხული არ არის, მატჩს თვით ჟოზე მაურინიუ დაესწროს, „ჩელსის“ მთავარი მწვრთნელი. და თუ ის არა, ამბობენ, რომ ასათიანის დასაზვერად აუცილებლად იქნებიან აბრამოვიჩის გუნდიდან...

ვნახოთ, ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ ჟირესის ექსპერიმენტულ სალიტვო გუნდში საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ერთი ფეხბურთელიც არ არის გამოძახებული... ასათიანის გარდა!

ვინ უნდა შეამოწმოს 9 თებერვალს ასათიანი? ჟირესმა თუ „ჩელსიმ“?



## ჰიუიტმა სამშობლოს ოცნება აჩუქა

### ავსტრალია ნახევარფინალშია



REUTERS

# ექსკაპიტნის ახალი გამოწვევა
## ამბავი ტოპმიოლერიდან ჟირესამდე

*თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ეროვნული ნაკრების ექსკაპიტანი კახა ცხადაძე საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნება, ეს საკითხი 8 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომზე გადაწყდება. ცხადაძე 36 წლის გახლავთ, ეროვნულ ნაკრებში 23 მატჩი ჩაუტარებია და ერთი გოლი გაუტანია, ახლა კი ახალი გამოწვევის წინაშე დგას. ცხადაძე გუშინ რედაქციაში ვისტუმრეთ...*



**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 19 წლამდელთა მწვრთნელობა შემოგთავაზათ და თქვენგან უკვე მიიღო დადებითი პასუხი?**

— წინააღმდეგი არ ვარ, 19-წლამდელთა ნაკრები რომ ჩავიბარო, მაგრამ ეს აღმასკომმა უნდა დაამტკიცოს, მანამდე კი ამ საკითხთან დაკავშირებით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ჩივაძეს უნდა შევხვდე.

**— ფეხბურთელის კარიერა დაასრულეთ, ჯერ არ გითქვამთ, ბოლოს მახაჩყალის „ანჟიში" თამაშობდი და რუსეთიდან ახლახან დაბრუნდით...**

— ახალი სეზონისთვის „ანჟიმ" მოსამზადებელი პერიოდი რომ დაიწყო, მე უკვე ამ გუნდის წევრი აღარ ვიყავი. თუმცა გადაწყვეტილების უცბად მიღება გამიჭირდა და საკმაო ფიქრის შემდეგ ვარჩიე, რომ ფეხბურთელის კარიერა დამემთავრებინა.

**— მწვრთნელად ადრეც გიმუშავიათ, თბილისის „ლოკომოტივს" თავკაცობდით 2001-02 წლების სეზონში, მაგრამ მერე კვლავ ფეხბურთელობა გადაწყვიტეთ და „ანჟიში" გადახვედით — რისიბრალი იყო თქვენი ასეთი ცვალებადობა?**

— როცა „ლოკომოტივი" ჩავიბარე, ვოქვი, რომ ფეხბურთელობას თავს არ ვანებებდი, მაშინ ტრავმა მქონდა და დიდ დატვირთვებს ვერიდებოდი. ამავე დროს, „ლოკომოტივში" საკუთარი თავის როგორც მწვრთნელის გამოცდის სურვილი მამოძრავებდა.

**— მერე, კმაყოფილი დარჩით საკუთარი თავით?**

— მიმაჩნია, რომ „ლოკომოტივის" მწვრთნელობით საინტერესო და სასარგებლო ნაბიჯი გადავდგი, ბევრი საინტერესო ფეხბურთელის დანახვა შევძელი.

**— პირველ რიგში დავით სირაძეს გულისხმობთ?**

— არამხოლოდ სირაძეს, იმ სეზონში ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი ლაშა სალუქვაძემ, ხოლო გიორგი ანჩაბაძემ თავისი საუკეთესო სეზონი სწორედ მაშინ ითამაშა, რის შემდეგაც თბილისის „დინამოში" გადავიდა. მწვრთნელობაზე ძალიან სერიოზულად ვფიქრობდი „ანჟიში" თამაშის დროსაც. ჩემი დაჟინებული თხოვნის შედეგად ეროვნულ ნაკრებში გასინჯეს კახა მჟავანაძე, ვინც უკვე ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია.

**— თქვენი, როგორც ფეხბურთელის მწვერვალი ფრანკფურტის „აინტრახტი" იყო, სადაც რამდენიმე ცნობილ მწვრთნელთან მოგიწიათ მუშაობამ, მათ შორის მადრიდის „რეალში" ჩემპიონთა ლიგის მომგებ იუპ ჰაინკესთან — ყველაზე უფრო რომელ მწვრთნელთან მუშაობა იყო თქვენთვის საინტერესო?**

— „აინტრახტის" ყველა მწვრთნელი თავისებურად საინტერესო იყო, ჰაინკესი ერთია, მაგრამ დრაგოსლავ სტეპანოვიჩიც საკმაოდ კარგი მწვრთნელი გახლდათ. ძალიან მომწონდა კლაუს ტოპმიოლერი, ის ლამაზ, შემტევ ფეხბურთს ქადაგებდა და მის ხელში ბუნდესლიგის რეკორდი მოვხსენით — 1993-94 წლების სეზონის პირველ 11 ტურში არ წაგვიგია, 9 თამაში მოვიგეთ და 2 ფრედ ვითამაშეთ. ბევრი რამ შევიძინე რუსი მწვრთნელებისგანაც, „ლოკომოტივში" მისვლის წინ ვალერი გაზაევს საგანგებოდ შევხვდი და მისი რჩევები ძალიან გამომადგა. ბევრი სასარგებლო რამ გავიგე „ანჟის" ყოფილ მწვრთნელ გაჯი გაჯიევისგან.

**— ჩვენს ახალგაზრდულ ფეხბურთში, თუნდაც იგივე 19-წლამდელთა ნაკრებში საქმე კარგად რომ ვერ მიგვდის, ამას ყველაზე უფრო რას დააბრალებდით?**

— 19 წელი უკვე სერიოზული ასაკია ფეხბურთელისთვის და ამ ასაკობრივი ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში უნდა თამაშობდეს, მაგრამ ასეთი მოთამაშეები იშვიათობაა, რადგან უმაღლესი ლიგის გუნდებში სათანადოდ მომზადებულ იუნიორები ვერ მიდიან.

**— განელები რამდენჯერმე გახდა მსოფლიოს ჩემპიონები 17-წლამდელებს შორის და განა მათი საფეხბურთო მეურნეობა მაღალ დონეზე დგას?**

— „აინტრახტში" განელი თანაგუნდელი ტონი იებოა მყავდა, რომელმაც თვითონაც არ იცოდა ზუსტად საკუთარი დაბადების თარიღი. ასაკობრივ გუნდებში კი ერთი-ორი წელი ძალიან ბევრს ნიშნავს...

**— ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს ხშირად დაუჩივლიათ, რომ მათი ფეხბურთელები ევროპელ თანატოლებს მკვეთრად ჩამოუვარდებიან ათლეტიზმში, ევროპაში კი დაბადების თარიღები ალბათ ზუსტად იციან...**

— 19 და 21 წლის ფეხბურთელი უკვე ჩამოყალიბებული კაცია და თუ ჯანი არ ყოფნის, ტრენაჟორზე უნდა იაროს, თუ ფეხბურთელი მოინდომებს და სწორად ივარჯიშებს, ეს პრობლემა ადვილად მოგვარდება. მთავარი მაინც აზროვნებაა, რასაც ვერანაირი ვარჯიშით ვერ შეიძენ.

**— კლუბებში მისული მოუმზადებელი ფეხბურთელები, არასათანადო ათლეტიზმი და ყოველივე ის, რომ ნაკრებში ფეხბურთელი მწვრთნელთან 4-5 დღით იმყოფება შეკრებაზე და ნაკრებში მწვრთნელისთვის უფრო რთულია იდეების ფეხბურთელებისთვის გადაცემა, ვიდრე კლუბში — ხომ არ მიგაჩნიათ, რომ არცთუ გამოცდილი მწვრთნელისთვის 19-წლამდელთა ნაკრების ჩაბარება ძალიან თამამი ნაბიჯია?**

— თუ აღმასკომი ჩემს კანდიდატურას დაამტკიცებს, შესაძლოა ეს ჩემთვის მართლაც თამამი ნაბიჯი იყოს. სამუშაო გეგმის მონახაზი უკვე მაქვს და თუ ეს განვახორციელე, შესაძლებელი გახდება სერიოზული მუშაობა. კლუბებმაც უნდა შეუწყონ ხელი ასაკობრივ ნაკრებებს. მთავარი საკითხი კი პერიოდული შეკრებების მოწყობა იქნება. საქართველოშიც და უცხოეთშიც მყავს მეგობრები, რომლებიც შეკრებების მოწყობაში დამეხმარებიან.

**— 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობასთან ერთად A ლიცენზიის აღებასაც აპირებთ?**

— არის ლაპარაკი, რომ უახლოეს ხანში A ლიცენზიის აღება საქართველოშიც გახდეს შესაძლებელი. თუ ეს ასე არ მოხდა, A ლიცენზიას გერმანიაში ავიღებ ან კახა კალაძის დახმარებით იტალიაში.

**— ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?**

— ძალიან მომწონს გოგიტა გოგუა, გამოვარჩევდი გოჩა ხოჯავასა და სანდრო იაშვილსაც.

**— ალენ ჟირესის ხელში ჩვენი ეროვნული ნაკრები გუნდს რომ დაემსგავსა, ამაში მწვრთნელის მთავარ ღირსებად რა მიგაჩნიათ?**

— ჩვენმა ფეხბურთელებმა გაათვითცნობიერეს ჟირესი, როგორც მწვრთნელი. კიდევ ის, რომ დარეგულირდა შემადგენლობის შერჩევა — ვინც კონკრეტული მომენტისთვის უკეთ არის მზად, ის თამაშობს,. ადრე კი, ვფიქრობ, ასე არ იყო, რაც ჩვენი მენტალიტეტით იყო განპირობებული.

**დავით თავართქილაძე**

### ჰოლანდია

ამსტელის თასი
მერვედფინალი
დენ ჰააგი 1:1დ.დ.(პენ.4:3) ტვენტე
ბრედა 2:1დ.დ.(1:1) უტრეხტი
ოსი 1:1დ.დ.(პენ.6:5) ვალვაიკი
ალკმაარი 1:3 ფეიენოორდი

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XXIII ტური
ლიონი 2:1 რენი
ნანტი 0:0 სენტ ეტიენი
ნიცა 1:1 ლილი
პსჟ 2:2 ისტრი
აიაჩო 1:0 ტულუზი
ოსერი 4:1 ბასტია
ბორდო 1:0 მეცი
ლანსი 0:1 კაენი
სტრასბური — მონაკო გადაიდო
მეორე დივიზიონი
XXIII ტური
გენგამი 3:1 მონპელიე
ნანსი — დიჟონი გადაიდო

### იტალია

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები
რომა 1:0 ფიორენტინა
მილანი 3:2 უდინეზე

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXXI ტური
დერბი ქაუნთი 2:0 ლიდსი
ლიგის თასი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
მანჩესტერი 1:2 ჩელსი (0:0)

### პორტუგალია

თასის მერვედფინალი
ოსპიტალი 0:1 ბრაგა
აკადემიკა 1:2 მარიტიმუ
სეტუბალი 3:1 გიმარაეში
პინალნოვენსე 1:2 ბელენენსეში
ამადორა 1:0 პენაფიელი
ბენფიკა 3:3დ.დ.(პენ.7:6, 2:2) სპორტინგი

### საბერძნეთი

თასის 1/8 ფინალი. 1 მატჩები
არისი 2:1 ეთნიკოსი
ლარისა 3:1 ხალკიდონა
ქსანთი — ეგალეო დღეს

### შოტლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
სტირლინგი 1:1 მორტონი

### ესპანეთი

თასის 1/4 ფინალი. 1 მატჩები
სევილია 2:1 ოსასუნა
ნუმანსია — ატლეტიკო გადაიდო

# ბუბლიკები კუნძულზე
## დინამოს ბალანსი სჭირდება



თბილისის „დინამო" გუშინ კვიპროსზე სერბეთის „სარტიდს" გაეჯიბრა და უგოლოდ დაშორდა.

„დინამოს" თავკაცმა გი გეგუჩაძემ ამჯერად, შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშა და ძირითადის ბირთვი საღამოს ავარჯიშა.

ზოიძე, კაშია, ჭელიძე, სილაგაძე, ხმალაძე, ნოზაძე, გრიგალაშვილი, ბაბუნაშვილი (მახარაძე 50), ქუცურუა, დვალი, დვალიშვილი — ასეთი იყო თბილისელთა გუშინდელი შემადგენლობა.

„დინამოს" პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის თქმით, მატჩი საკმაოდ დაძაბული და ხისტი გამოდგა, ორივე გუნდს ჰქონდა საგოლედ რეალური შანსები, მაგრამ მეკარეებმა იყოჩაღეს. ჩვენებიდან ქუცურუას ჰქონდა ორი კარგი მომენტი, ერთხელ ის მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მას ველარ აჯობა, მეორედ კი მისი დარტყმული კარს აცდა.

— კვიპროსზე ჩატარებული მატჩების ანგარიში ჩემთვის ნაკლებმნიშვნელოვანია, მთავარია, გუნდი შეთამაშდეს, რგოლებს შორის კავშირი დაბალანსდეს და საქართველოს ჩემპიონატს სათანადოდ მომზადებულები შევხვდეთ. კვიპროსზე გუნდის ყველა ფეხბურთელს ექნება თავის გამოჩენის საშუალება — თქვა ნამატჩევს გია გეგუჩაძემ.

„დინამო" დღეს კვიპროსული შეკრების მეოთხე მატჩსაც გამართავს, მეტოქედ ადგილობრივი აელ-ი ეყოლება, თამაში ლიმასოლშია, თბილისელები იმ ფეხბურთელებს ათამაშებენ, რომლებმაც გუშინ მხოლოდ ივარჯიშეს.

**ქობა ინასარიძე**

# ფეხბურთი ფორმულა 1-ია, უტემპოდ ვერ მოიგებ

## კობა ჟორჟიკაშვილი: 17-წლამდელები ჩემი სტიქიაა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოახლოებულ აღმასკომის სხდომაზე სხვა საკითხების განხილვის გარდა 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელსაც დანიშნავენ. სავარაუდოდ, გუნდს კობა ჟორჟიკაშვილი ჩაიბარებს, რომელსაც ამ ასაკის ფეხბურთელებთან მუშაობის საკმაო გამოცდილება აქვს. ჟორჟიკაშვილი ამჟამად „ოლიმპის“ საფეხბურთო სკოლაში 1989 წელს დაბადებულ ბავშვებს წვრთნის — ეს სწორედ იმ ასაკის გუნდია, რომელიც წლევანდელ ევროპულ შესარჩევ ციკლში წარმატების შემთხვევაში 2006 წელს ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. თუმც ჟორჟიკაშვილი მოვლენებს წინ არ უსწრებს — ჯერ ხომ ფედერაციას მწვრთნელად არ დავუმტკიცებივარო...

„ფედერაცია თითოეულ კანდიდატურას განიხილავს და მჯერა, 17-წლამდელთა თავკაცად ღირსეულს დანიშნავს. როგორც იცით, მე ადრეც ვიყავი ამ ასაკის ნაკრების მწვრთნელი, ერთხანს კი 19-წლამდელებშიც ვიმუშავე. ბუნებრივია, მოხარული ვიქნები, თუ ნაკრებს მანდობენ და არც იმის თქმა მომერიდება, რომ ჩემნაირი შედეგი არც ერთ მწვრთნელს არ ჰქონია — ამბობს ჟორჟიკაშვილი — ჩემმა გუნდებმა 24 საერთაშორისო მატჩიდან 15 მოიგეს, არასაფეხბურთო ქვეყნებთან კი არასოდეს წაუგიათ. რა ვიცი, მგონი, გამოცდილება არ მაკლია. „მრეტებში“ მუშაობისას გიორგი ქინქლაძეს 16-დან 19 წლამდე სწორედ მე ვწვრთნიდი, „თბილისის“ დღევანდელმა ახალგაზრდა თაობამაც ჩემ ხელში გაიარა. იმედია, ფედერაცია სწორედ ადრინდელი შედეგების მიხედვით შეარჩევს მწვრთნელს. როგორც ვიცი, 17 და 19-წლამდელთა დამრიგებლებად ვისაც დანიშნავენ, სამწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. ანუ, აქ ნდობის ფაქტორი მოქმედებს — ფედერაციამ იმიტომაც შეაყოვნა მწვრთნელების დამტკიცება, რომ ყველაფერი აწონ-დაწონოს. ასეთი ხანგრძლივი ვადით დანიშვნისას არჩევანში არ შეცდეს“.

ჟორჟიკაშვილმა სამი წლის წინანდელი 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატიც გაიხსენა, როდესაც ფინალურ ეტაპზე მისმა გუნდმა მეხუთე-მერვე ადგილები დაიკავა: „მაშინ ყველანაირად მომზადებულები ვიყავით. ჯერ თბილისში ფიზიკურ ვარჯიშს ბურთით თამაშს ვუნაცვლებდით, შემდეგ ესპანელებმა მიგვიწვიეს ტურნირზე და დანიასა და გერმანიაშიც ჩავატარეთ ტესტ-მატჩები. საკონტროლო შეხვედრები აუცილებელია, თორემ საკუთარ წვენში თუ ჩაიხარშე, ვერ გაიგებ, რომელ უცხოურ ნაკრებს როგორი ტაქტიკით უნდა ეთამაშო. უცხო ფილოსოფიას, უცხო საფეხბურთო აზროვნებას ხომ უნდა გაეცნო“.

ლამის აქსიომადაა ქცეული აზრი, რომ 14-15 წლის ქართველი ბავშვები უნიჭიერესები არიან, შემდეგ კი მათი ზრდა ჩერდება. სხვა ქართველი მწვრთნელების მსგავსად, კობა ჟორჟიკაშვილიც ფიზიკურ სისუსტეზე ამახვილებს ყურადღებას. „სამწუხაროდ, ჩვენში ფიზმომზადების მწვრთნელთა ნაკლებობაა და არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზები გადაგვდის თავზე. ბავშვს ერთჯერადი კი არა, სისტემატური ვარჯიში სჭირდება, თორემ ნელ-ნელა ის მომადლებული ნიჭი წაეშლება. შესაძლოა, ტექნიკურ-ტაქტიკურად უცხოელებს არ ჩამოვრჩებით, მაგრამ ფიზიკურ კონდიციებში და სისწრაფეში ძალიან გვიჭირს. მაგალითად, მე მანქანის ტარება ვიცი, მაგრამ ფორმულა 1-ის ბოლიდში ვერ ჩავჯდები, რადგან იქ სხვა ტემპია. ასეა ფეხბურთშიც: ის სისწრაფე, რაც საქართველოში აქვს ფეხბურთელს, ინგლისში ვერ გამოადგება და ვერც ნაქებ ტექნიკას გამოაჩენს. ამიტომაც ჩემს გაწვრთნილ ბავშვებს მუდმივად გადაადგილებას და სისწრაფეს ვთხოვ“.

როგორც იცით, ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები ეროვნული გუნდის მსგავსი ტაქტიკით თამაშობს. ასეთი მეთოდი პირველად ამსტერდამის „აიაქსის“ სკოლაში დაინერგა და 3-4-3 სისტემა ჰოლანდიური გრანდისთვის დოგმად იქცა. კობა ჟორჟიკაშვილის აზრით, ასეთი კოპირება აუცილებელი არ არის: „როდესაც ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში მიდის, იგი რამდენიმე ტაქტიკურ სქემას უნდა იყოს ნაზიარები, მთლიანობაში კი 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელს ოთხი ამოცანა აქვს შესასრულებელი: სწორი სელექცია, რათა ნიჭიერი ბავშვი არ „გაგვეპაროს“ და არ დავკარგოთ; ამ ასაკისთვის საჭირო მიმართულებების მიცემა როგორც ტექნიკურ-ტაქტიკური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით; კარგი შედეგი შესარჩევ ციკლსა და ფინალურ ეტაპზე; უფროსი ასაკის ნაკრებებისთვის ფეხბურთელების მიწოდება. ბუნებრივია, 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელის მუშაობა ფუჭად ჩაითვლება, თუ მის ხელში გამოვლილი ფეხბურთელებიდან ეროვნულ გუნდში ვერავინ მოხვდება“.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრები შესარჩევ ჯგუფში ავსტრიის, ბულგარეთისა და ბელგიის კომპანიაში მოხვდა. მატჩები ერთ წრედ შემოდგომაზე გაიმართება, ჯგუფის ორი საუკეთესო კი მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავა.

**ილია ნანობაშვილი**

# ფედერაცია ათად იყოფა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ ფაქსი მიიღო: უეფა იტყობინება, რომ ფეხბურთის ფედერაციის პროექტი, რომელიც პროგრამა „ჰეთ-თრიქის“ მეშვეობით დაფინანსდება, დამტკიცებულია. შედეგად, ფეხბურთის ფედერაცია გრანტის სახით 500 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებს.

ფედერაციის გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას თქმით, 500 ათასი ფრანკი საქართველოს რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას მოხმარდება, კერძოდ: მინი-მოედნები მოეწყობა ბათუმში, ლანჩხუთში, ზუგდიდში, ქუთაისში, გორში, მცხეთაში, რუსთავში, თელავში და ორიც თბილისში. ჩოლარიას თქმით, სტადიონები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნებიან ბავშვთა თუ მოზარდთა სავარჯიშოდ აუცილებელი პირობებით. ფედერაცია უეფას ფულით რეგიონულ ფედერაციებს ოფისებსაც აუშენებს.

ეს ყველაფერი უკვე თებერვლიდან უნდა დაიწყოს. ვალერი ჩოლარიას თქმით, როცა ზემოხსენებულ ქალაქებში მინი-მოედნებისთვის შესაბამისი ფართობი გამოინახება, მშენებლობაც მაშინვე დაიწყება.

და ერთიც. ჩოლარიას თქმით, ყველა იმ საფეხბურთო სკოლას, რომელიც „ჰეთ-თრიქის“ დახმარებით ისარგებლებს, B ლიცენზიის მქონე მწვრთნელები უხელმძღვანელებენ. სკოლებში გაზრდილ ყველა ფეხბურთელზე უფლება კი უშუალოდ იმ გუნდებს ექნებათ უფლება, რომელი რეგიონის სკოლაშიც ბავშვი გაიზრდება.

**ძობა ინასარიძე**

# მჭავანაძე დაღესტანში დარჩა



**პახა მჭავანაძის** „ანჟიდან“ წასვლაზე ერთხანს აქტიურად ლაპარაკობდნენ. საქართველოს ნაკრების მარჯვენა მცველს სამარის „კრილიასა“ და „ტომის“ ვარიანტები ჰქონდა, თუმც რეალური ერთიც არ გამოდგა. მჭავანაძემ გუშინ მახაჩყალურ „ანჟისთან“ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი და ისევ რუსეთის მეორე დივიზიონში იბურთავებს.

**ილია ნანობაშვილი**

## თქვენი ინტერვიუ

## ლევან კობიაშვილთან

**«შალკე» გელზენკირხენი. გერმანია**



*ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის“ მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს“ შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის“ საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 12-დან 20 საათამდე, მიუთითეთ თქვენი გვარსახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# ალანია ოსეთში, ბურდული თბილისში ჩვენ კიდევ შევხვდებით

*ლადო ბურდულმა ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ ერთად ანთალიური შეკრება მოილია და, სავარაუდოდ, ხვალ-ზეგ ამ კლუბთან ორ ან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.*

*ლადო ოსებთან ტრანსფერის პირობებზე მოსალაპარაკებლად თურქეთში ათი დღის წინ ჩავიდა და თბილისში ამ დილით დაბრუნდა. არადა, ლადო ანთალიაში გაჩერებას სამი-ოთხი დღით აპირებდა. გეგმები თურქეთშივე შეიცვალა, თბილისის „დინამო“ — „ალანია“ — ბურდულის სამკუთხედი პირველივე შეხვედრის შემდეგ შეიკრა და გასარკვევიც მალევე გაირკვა — ბურდული მარტიდან რუსეთის პრემიერლიგაში ითამაშებს.*

*გუშინ „ალანიამ“ ანთალიიდან პირდაპირ ვლადიკავკაზს რომ მიაშურა, ლადო ბურდული კურორტიდან ჯერ სტამბოლს ჩაფრინდა და თბილისში იქიდან წამოვიდა, ეს იტნერვიუ კი მანამდე შედგა...*



— თბილისში ერთი დღით ჩამოვალ, ოჯახს, ახლობლებს მოვიკითხავ და 28 იანვარს ახალ გუნდს ვლადიკავკაზში შევუერთდები — გვითხრა ლადო ბურდულმა — „ალანიასთან“ კონტრაქტს ან იმ დღესვე გავაფორმებ, ან სოჭში, სადაც 29-ში მეორე შეკრებაზე მივემგზავრებით. გუნდის ხელმძღვანელობასთან, ფაქტობრივად, მოლაპარაკება დამთავრებულია. მხოლოდ დეტალები დარჩა შესათანხმებელი.

**— რა ხნით აპირებ „ალანიაში“ დარჩენას?**

— სწორედ ეგაა და[illegible]უსტებელი. ორ ან სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ.

**— ბოლო დროს „ალანიაში“ ფინანსური პრობლემები რომ არის, ეს არ გაშინებს?**

— ამ საკითხზეც ვილაპარაკეთ და დავრწმუნდი, რომ კლუბს უახლოეს მომავალში არაფერი ემუქრება.

**— გუნდზე რას იტყვი, აკმაყოფილებს „ალანია“ შენს ამბიციებს?**

— მომავალ სეზონში „ალანია“ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ანთალიაში თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი ფეხბურთლები ჩამოდიოდნენ და უმეტესობამ კონტრაქტიც გააფორმა. წლეულს „ალანიაში“ ითამაშებს ნიგერიელი ოკორონკვო, რუმინეთის ნაკრების ერთ-ერთი ფეხბურთელი და კიდევ რამდენიმე ძლიერი უცხოელი. მაგალითად, ანთალიაში მოსამზადებლად მყოფმა „არგენტინოს ხუნიორსმა“ „ალანიასთან“ მატჩის გარდა რუსეთის პრემიერლიგის გუნდებთან რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ ჩვენთან დამარცხდა. სხვა მატჩები სამხრეთამერიკელებმა დიდი ანგარიშით მოიგეს. ეს ფაქტი, თავისთავად, „ალანიას“ სიძლიერეზე მიუთითებს.

**— პრემიერლიგაში „ალანიას“ რა მიზანი აქვს?**

— ჩემპიონობაზე და სამეულში მოხვედრაზე გუნდში არ ლაპარაკობენ, თუმც ეიმედებათ, რომ გუნდი ჩემპიონატის ლიდერთა ახლომახლო იტრიალებს.

**— ანთალიაში ახალჩასულმა გვითხარი, ფიზიკურად მიჭირსო. ახლო როგორაა საქმე?**

— ყველაფერი კარგადაა. დატვირთვებს ნელ-ნელა ვუმატებდი და უკვე სხვებთან ერთად ვვარჯიშობ. სხვათა შორის, სათქმელია, რომ „ალანიაში“ ისეთი ფიზიკური დატვირთვებია, კიევის „დინამოშიც“ არ მინახავს. თუმც, ეს ჩემთვის პრობლემა აღარ არის. ჩემპიონატის დაწყებამდე „ალანიას“ კიდევ სამი შეკრება აქვს დაგეგმილი და კიდევ უფრო მოვუმატებ. სოჭიდან ესპანურ მარბელაში მივემგზავრებით, სადაც თბილისის „დინამოც“ იქნება, იქიდან კი ისევ სოჭში დავბრუნდებით.

**— გუნდში კეთილად მიგიღეს?**

— ძალიან თბილად შემხვდნენ და ანთალიაში ჩასვლისთანავე მაგრძნობინეს, უკვე ალანიელი ხარო. გუნდში ხომ ვიტალი დარასელია და ლევან გვაზავა დამხვდნენ და მათი საშუალებით სხვებსაც მალევე დავუმეგობრდი.

**ქობა ინასარიძე**



# თბილისი ანთალიაში ლიტვამ არ გაუშვა

**დღეს** „თბილისი“ ანთალიურ შეკრებაზე უნდა გამგზავრებულიყო, თუმც კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება შეცვალა და ლუის ცაკარიასის გუნდი ისევ საქართველოში გააგრძელებს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის მზადებას. მიზეზი? მოგეხსენებათ, 9 თებერვალს საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებს ლიტველებთან ამხანაგური მატჩები ელით. ნაკრებთა მწვრთნელებმა „თბილისის“ 10 ფეხბურთელი გამოიძახეს, ისინი 5 თებერვალს უნდა შეუერთდნენ სხვა ნაკრებელებს და გამოდიოდა, რომ ანთალიაში „თბილისი“ მხოლოდ 8-დღიანი შეკრებისთვის წავიდოდა. თანაც, ადაპტაციასაც ხომ დრო უნდა. ლუის ცაკარიასმაც ჩათვალა, რომ თბილისში დარჩენა უპრიანი იქნებოდა, კარგი ამინდებია და მზადებაში ხელი არ შეგვეშლებაო.

ახლა „თბილისის“ ხელმძღვანელობა სომხურ და აზერბაიჯანულ კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ტესტ-მატჩების გამართვაზე. მიუხედავად შეკრების ჩაშლისა, თბილისურ კლუბში არგენტინელ და განელ ლეგიონერებს მაინც ელიან. საქმე ისაა, რომ ამ საკითხზე ცაკარიასის თანაშემწე გოჩა თამაზაშვილი მუშაობს, რომელიც ახლა ევროპაში იმყოფება.

და კიდევ, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე დღესდღეობით „თბილისში“ აღარ ვარჯიშობს. როგორც იცით, „პაჭელოს“ რუსულ „კრილიაში“ გადასვლის ვარიანტი აქვს და რა გამოვა ამ საქმიდან, ჯერ უცნობია.

**ილია ნანობაშვილი**

---

სარბიელელები
თანაგრძნობას ვუცხადებთ
გივი და ლევან ნოდიებს
დედის
როზა ბარაბაძე-ნოდიას
გარდაცვალების გამო

---

## უკრაინა

**ჩვენი ჯგუფის** ლიდერი უკრაინა 9 თებერვალს ალბანეთს ეთამაშება და საამხანაგოდ ოლეგ ბლოხინის გუნდი შეკრების გავლას თურქეთში აპირებს.

უკრაინელთა თავკაცმა უკვე შეარჩია ტირანაში წასაყვანი ფეხბურთელები:

***მეკარეები:*** *ალექსანდრ შოვკოვსკი, ვიტალი რევა (ორივე დინამო), ვიაჩესლავ კერნოზენკო (დნიპრო);*

***მცველები:*** *ოლეგ გუსევი, ანდრეი ნესმაჩნი (ორივე დინამო), ანდრეი რუსოლი, სერგეი მატიუხინი, ალექსანდრ რადჩენკო, ვლადიმირ ეზერსკი (ყველა დნიპრო), ვიაჩესლავ სვიდერსკი (სატურნი, რუსეთი);*

***ნახევარმცველები:*** *ანდრეი გუსინი (უვუნდო), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), რუსლან ბიდნენკო, სერგეი ნაზარენკო, ოლეგ შელაევი, ალექსანდრ რიკუნი (ყველა დნიპრო);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსეი ბელიკი, ანდრეი ვორობეი (ორივე შახტარი), ოლეგ ვენგლინსკი (დნიპრო), ანდრეი შევჩენკო (მილანი, იტალია), ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი, გერმანია).*

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე




რაღა უკრაინის ნაკრები და რაღა „დნიპრო“–

საინტერესოა, რომ ბლოხინის სიაში თერთმეტი დნიპროელია. უკრაინელთა თავკაცის დნეპროპეტროვსკელებისადმი სიმპათია ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ ამ ამბავმა მაინც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უკრაინაში. თუმცა ბლოხინს კოზირი ხელში უჭირავს — მისი გუნდი შესარჩევ ჯგუფს ლიდერობს.

# გაქნილი და კვიმატი ბატონი
## ასე ამბობდა კენ ბეიტსი

*კენ ბეიტსი რამდენიმე დღეა, რაც „ლიდს იუნაიტედის“ თავმჯდომარედ დანიშნეს. ადრე იგი იმავე საქმეზე მოგეხსენებათ, „ჩელსიში“ მუშაობდა და ლონდონურმა კლუბმა დიდებისა და გამორჩეულობისკენ პირველი ნაბიჯები სწორედ მის ხელში გადადგა. ინგლისურ ფეხბურთში სწორედ ბეიტსმა გააკეთა პირველი სერიოზული სვლა შემადგენლობის ინტერნაციონალიზაციისკენ და ერთხელ მწვრთნელს მოედანზე თერთმეტი უცხოელის გაყვანის ნებაც კი დართო.*

*ზოგადად კენ ბეიტსი ცნობილია, როგორც გაქნილი ბიზნესმენი და სიტყვამოსწრებული ადამიანი. ქვემოთ მისი კვიმატობის დადასტურებას შევეცდებით*





ჯოდი მორისი



დენის უაიზი

„ჩელსის“ მოთამაშეების, ჯონ ტერისა და ჯოდი მორისის დაპატიმრების შემდეგ გამოთქმული აზრი მდიდარი და ცნობილი ფეხბურთელების ცხოვრების სტილის შესახებ:

„სამწუხაროდ, ისინი ძირითადად მანქანებზე, სპეცშეკვეთის ტანსაცმელზე და 30 დღიან (ინგლისში ყველაზე ხანგრძლივი) შვებულებაში წასაღები გრძელი ჩანთის ჩალაგებაზე ფიქრობენ და ეს სიამოვნებთ“.

რჩევა ჯოდი მორისს:

„ჯოდი, შენ „ჩელსის“ დიდი კაპიტანი გახდები, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თავს დაანებებ მდიდრულ მანქანებზე დაუსრულებელ ფიქრს, ღამის კლუბებში სიარულს და... „გეტვიკის“ აეროპორტში ჩემს ლასანახად ჰამბურგერების ჭამას“.

ფეხბურთის განმარტება მიცემული მავანი ბიზნესმენისთვის:

„ფეხბურთი ისეთი ბიზნესია, რომელშიც შესაძლებელია მუდმივად მოგებული დარჩე, ოღონდ ამისათვის მუდმივად უნდა იპოვნო წაგებულიც“.

მარსელის „ველოდრომზე“ განცდილის შემდეგ:

„ჩვენს ქომაგებს მთელი საღამოს განმავლობაში ლანძღავდნენ, თან ისე, რომ მათ ამისი საბაბი არ მიუციათ და საბოლოოდ, მაინც ჩვენ დაგვაჯარიმეს. ეს ძალიან ჰგავდა იმას, ხალხი ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში რომ შეყარო და ბილეთის ფულიც გადაახდევინო“.

საშობაო მიმართვა ფეხბურთელებს:

„იმედი მაქვს, რომ შობას კარგად შეხვდით. წესით კარგად უნდა შეხვედროდით კიდეც, რადგან გასულ შაბათს „ასტონ ვილასთან“ სამი ქულის მოპოვებას უნდა გაეხარებინეთ, მაგრამ... რომ გიყურებთ, თუ მეკარეს არ ჩავთვლით, დანარჩენი ათიდან მხოლოდ ოთხნი ხართ 25 წელზე უფროსი და...

კლუბის ხელმძღვანელობის მეთოდზე:

„კლუბის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა მათ წინაშე დასახულ ამოცანებს ენთუზიაზმით შეხვდა. რაც შეეხება უმცირესობას, ისინი თავიანთ მოღვაწეობას სხვაგან, შესაძლოა, სხვა სფეროებშიც კი გააგრძელებენ.“

დენის უაიზის საუკეთესოდ არჩევის ამბავი:

„დენის უაიზი წლის საუკეთესო მოთამაშედ აირჩიეს. დენისმა ჯილდო კმაყოფილებით მიიღო და მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის მისამართით რაღაც მიმიკა გააკეთა. შემდეგ სამადლობელო თქვა, რის გამოც ჯანფრანკო ძოლამ დაუძახა: „ინგლისურად ილაპარაკე!“. ამის პასუხად უაიზმა ძალ-ღონე მოიკრიბა, ძოლასთვის მხოლოდ ერთი წინადადება — „შენ ჯერ კიდევ ვერ ისწავლე ინგლისური?“ — თქვა ნორმალური ინგლისურით და ისევ კოკნიზე (ლონდონური დიალექტი, რომელსაც ლიტერატურული ინგლისურის მცოდნე ვერ გაიგებს) განაგრძო საუბარი“.

პენსიების შესახებ:

„გასულ ზაფხულს იტალიიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ბატისტუტას სურს „ჩელსიში“ გადმოსვლა. მე ვუპასუხე, რომ ბატისტუტას სურვილში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ ჩვენ პენსიებს აღარ ვარიგებთ.

„უემბლის“ დირექტორთა საბჭოდან მისი ჩამოცილების შესახებ:

„იესო ქრისტეს მხოლოდ ერთი პილატე ჰყავდა, მე პილატეების მთელი გუნდი აღმოვაჩინე“.

*60-იან წლებში კენ ბეიტსს მაშინდელ როდეზიაში ანუ დღევანდელ ზიმბაბვეში რამდენიმე ბიზნესის წამოწყება უნდოდა. მაგრამ პრემიერ-მინისტრმა, ჰაროლდ უილსონმა გადაწყვეტილება დაუწუნა ბეიტსმა თქვა:*

„გადაეცით პრემიერ-მინისტრს, რომ მეც არ მომწონს მისი გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი, მაგრამ ის ამ ამბავს ყურად არ იღებს. ამიტომ არც მე ვიღებ ყურად მის შეხედულებას“.

ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში „ბეშიქთაშის“ ფანების ქცევის შესახებ:

„ის აურზაური, რაც სტამფორდელმა ფანებმა ტუალეტში ატეხეს, დაგეგმილი იყო. მათ, უბრალოდ, ჩვენი თამაშის დაყენება და შესაბამისად, პარალელური შეხვედრის ანგარიშის ადრე შეტყობა სურდათ. ჰოდა, მეც რომ ამათ მოვიხსოვეთ იდეა მომივიდა. თუ უნდა კიდევ ერთი მილიონის ან მილიარდის შოვნა, თურქეთში ტუალეტების ფაბრიკა უნდა გახსნას“

# ბელამის ჩამოაჭრეს
## ფული პრობლემა არ არის

**„ნიუკასლმა“ მკაცრად დააჯარიმა გარემარბი კრეიგ ბელამი, რომელთანაც მენეჯერ გრემ სუნესს გასულ კვირას ჩხუბი მოუხდა. უელსელს ორი კვირის ხელფასი ჩამოაჭრეს, რაც სულაც არ არის ცოტა და 80 ათას გირვანქას უდრის**



**დიდი** აყალმაყალის მიუხედავად და იმის მიუხედავადაც, რომ ბელამიმ პარასკევს ტრავმა მოიგონა, ორშაბათს კი მენეჯერს „მატყუარა“ უწოდა, „ნიუკასლი“ მაინც ვერ შეელია თავის ფორვარდს და იგი ტრანსფერზე არ დააყენა. თუმცა, კლუბის თავმჯდომარე ფრედი შეპარდმა გუშინ დილით თქვა, თუ ვინმე გამოჩნდება და სწორ ფასს შემოგვთავაზებს, გავყიდით, აბა რას ვიზამთო.

„კაჭკაჭების“ თავმჯდომარემ ისიც დასძინა: „სუნეს-ბელამის პრობლემა ეს მხოლოდ ფეხბურთელის პრობლემაა, რომელსაც თავი კლუბზე დიდი ჰგონია“.

კვირას სუნესმა „არსენალთან“ თამაშის განაცხადში არ შეიყვანა ბელამი, რომელმაც მისი აზრით ტრავმა მოიგონა იმის გამო, რომ უფროსობამ მას ნახევარდაცვაში თამაში სთხოვა.

ბელამი ამას უარყოფს: „ამგვარმა ახსნამ გამაოცა. ის იტყუება“.

და უელსელმა უარი თქვა მობოდიშებაზეც: „რატომ ვებოდიშო, როცა ცუდი არაფერი ჩამიდენია?“. ბელამის შესახებ კი უკვე ფიქრობენ „ლივერპული“, „ასტონ ვილა“ და „მანჩესტერ სიტი“. პატარა „სტოკმა“ უკვე ოფიციალურად გამოაცხადა, უელსელი ჩვენ გვინდაო.

**ირაკლი ბამყრელიძე**

### ბელამის სკანდალის ქრონოლოგია

**პარასკევი** — უკმაყოფილო იმით, რომ ნახევარდაცვაში ათამაშებენ, კრეიგ ბელამი ტრავმის მომიზეზებით ტოვებს ვარჯიშს. იმავე დღეს, სუნესი და თავმჯდომარე შეპარდი ბელამის ხვდებიან.

**კვირა** — ბელამი თამაშის განაცხადში არ შეიყვანეს. სუნესმა ტელევიზიით თქვა, რომ პარასკევს ბელამიმ ტრავმა მოიგონა. ბელამი კი ტელევიზიებს საპასუხოდ ეუბნება, რომ ჯანმრთელია.

**ორშაბათი** — შეპარდი ამბობს, რომ ბელამი კლუბს და გულშემატკივრებს ღალატობს. უელსელი კი იფიცება, წლეულს რომ ვვარჯიშობ, ასე არასდროს მივარჯიშიაო.

**სამშაბათი** — ბელამის ორი კვირის ხელფასი ჩამოაჭრეს.

**ოთხშაბათი** — დილით უკვე შესაძლო ტრანსფერზეც ალაპარაკდნენ.

# კიკი სიტიში



კიკი მუსამბა

**გახსოვთ** კიკი მუსამბა, ერთ დროს მფრინავი „აიაქსის“ პაწაწა-რა ზანგი? ბოლოს მადრიდის „ატლეტიკოს“ კაცი რომ იყო და ჯერ-რაც 27 წლისა.

ზაფხულში „მალაგადან“ მადრიდში გადაბარგებულმა ძირითადისკენ გზა ვერაფრით გაიკაფა და ახლა მანჩესტერში წავა, სადაც იქაურ „სიტის“ უნდა მოეხმაროს.

ქირავნობა ექვსთვიანია და ტრევორ სინკლერისა და სტივ მაკმანამანის ტრავმებითაა გამოწვეული, ხოლო თუ მოიწონეს, კინგოელ კიკის — რომელსაც ჰოლანდიური პასპორტი აქვს — იყიდიან კიდეც.

**ირაკლი ბამყრელიძე**

# ბრაიდამ მომავალი გათქვა

## ჯილარდინო, იანკულოვსკი და...



ალბერტო ჯილარდინო

**იტალიის** ჩემპიონმა „მილანმა" გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ზაფხულში „პარმადან" ალბერტო ჯილარდინოს გადაბირებას გეგმავს. ამის შესახებ „შავწითელთა" გენერალურმა დირექტორმა, არიედო ბრაიდამ „გაძეტა დელო სპორტს" განუცხადა: „ჩვენ ჯილარდინოსა და უდინეზელი იანკულოვსკის ტრანსფერების მოგვარებას ვცდილობთ".

პარმელი შეტევის წაყვანა შარშან ზაფხულში „რომას" და „იუვენტუსსაც" ეწადათ, მაგრამ არ გამოუვიდათ, ამჯერად კი თითქმის გადაწყვეტილია, რომ ჯილარდინო სეზონის ბოლოს გაიყიდება, მისი ახალი გუნდი კი „მილანი" გახდება.

უდინელი მარეკ იანკულოვსკიც ასევე „შავ-წითლების" გზაზე დგას და ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს ცნობით, ჩეხმა „მილანთან" ოთხწლიანი კონტრაქტის წინასწარ უკვე გააფორმა.

ბრაიდა იმაშიც დარწმუნებულია, რომ „ჩელსიდან" ნათხოვარი ერნან კრესპო კვლავ მათ გუნდში ითამაშებს. გენერალურმა დირექტორმა თქვა, ლონდონელებთან თითქმის მოვრიგდითო.

აი, რაც შეეხება სათადარიგო მეკარე კრისტიან აბიატის, იგი შესაძლოა, „მილანიდან" წავიდეს, რადგან უკვე ორი წელია, ნელსონ დიდას ჩრდილიდან ვერ გამოდის და მეორეობას ვერ ეგუება. „აბიატიმ თუ გაშვება გვთხოვა, არ დავაკავებთ" — დასძინს ბრაიდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტუდორი თვალს ხუჭავს



**ხორვატი** ფეხბურთელის, იგორ ტუდორის შეძენის სურვილი ბოლოს ესპანურმა „სოსიედადმა" გამოთქვა. ბასკები სან სებასტიანიდან ტურინელებს უკვე დაუკავშირდნენ და, როგორც ამბობენ, ძალიან რეალური, საქმიანი წინადადებაც შესთავაზეს.

შეგახსენებთ, რომ ერთი ხნის წინ „ბებრი ქალბატონის" ბანაკიდან გამოვიდა ხმა, რომ ტუდორი არ იყიდება. ამ ხმას საფუძვლად სრულიად გასაგები რამ ედო — მარკ იულიანოსა და ნიკოლა ლეგროტალიეს წასვლამ ფაბიო კაპელოს ხელქვეითი მცველების რაოდენობა შეამცირა. მეორე მხრივ, მას მერე, რაც „იუვენტუსს" სათავეში კაპელო ჩაუდგა და „ინტერიდან" ფაბიო კანავაროც შეემატა, ტუდორმა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა. შესაბამისად — ოღონდ კი ფეხბურთი ითამაშოს — ხორვატი ბევრ რამეზე თვალს ხუჭავს.

ამბობენ, რომ „სოსიედადის" გარდა ტუდორის შეძენას ინგლისური კლუბები, „მიდლსბრო" და „პორტსმუთიც" ეშურებიან.

სანამ იანვრის სატრანსფერო ფანჯარა დაიხურება, დიდი დაინტერესება შეინიშნება კიდევ ერთი იუვენტუსელით, სტეფან აპიათიც. აპიას სეზონის დასრულებამდე ქირაობა გავარდნის საშიშროების წინაშე მდგომმა „ბრეშამ" ითხოვა. შეგახსენებთ, რომ განელი 2002-03 წლების სეზონში ამ გუნდში უკვე თამაშობდა.

ამასობაში კი „პალერმომ" არგენტინულ „რივერ პლეიტს" ერნესტო ფარიასი მიჰყიდა. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი თავდამსხმელი იტალიაში მხოლოდ ახლახან, შარშან ზაფხულს ჩავიდა.

**ბაჩუნა ძედია**

# კუპერმა რივალდოს მალიორკა უხსენა



**რაო, რაო?** რაო და, ბრაზილიელი რივალდო შესაძლოა, ესპანურ პრიმერადივიზიონს დაუბრუნდესო.

დიახ, რაც ეხლა წაიკითხეთ, სრული სიმართლეა და ამ ინფორმაციამ გუშინ მთელი დღის მანძილზე ესპანური სააგენტოები მოიარა.

საქმე კი აი, რაშია: ექტორ რაულ კუპერმა, „მალიორკას" არგენტინელმა მწვრთნელმა რივალდოს თავად შეუთვალა, ეგებ ჩამოსულიყავი, კარგ ხელფასსაც გადაგიხდით და შენი ცოდნა-გამოცდილებით ლიგიდან ვინძლო არ გავვარდეთო.

საქმის კურსშია 32 წლის რივალდოს აგენტიც და ახლა ორივე თურმე შეთავაზებულ წინადადებაზე ფიქრობს.

ჯერ კატალონიური „ბარსელონადან" გაშვებული და მერე „მილანში" ფეხვერმოკიდებული ვიტორ ბორბა გეცოდინებათ, ბერძნული „ოლიმპიაკოსის" ღირსებას იცავს და წარმატებითაც.

გადავა თუ არა რივალდო „მალიორკაში", ალბათ მალე შევიტყობთ.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ფაკეტის პერესი ხუმრობა ჰგონია

## ადრიანო? უკაცრავად, არ იყიდება!

**ბრაზილიელმა** ადრიანომ „კანალ პლუსთან" ინტერვიუში ოცნება რომ გაამხილა, მადრიდის „რეალში" სიამოვნებით ვითამაშებდიო, გუშინდელ „სარბიელში" გაცნობეთ.

ახალი კი ისაა, რომ „ინტერის" პრეზიდენტმა, ჯაჩინტო ფაკეტიმ ოცნებას კარი მოუხურა: „ის ჩვენი ფეხბურთელია და არსადაც არ წავა. ინტერვიუში „რეალში" გადასვლა მან იმიტომ ახსენა, რომ პერესმა აქო და ადრიანომაც ზრდილობიანად უპასუხა — „რეალი" კარგი გუნდიაო".

ფაკეტიმ დასძინა: „ადრიანოს არაფრიხელ უთქვამს, „ინტერიდან" წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ წინასწარ არავინ იცის, რა მოხდება. შესაძლოა, ფლორენტინო პერესი მასზე ოცნებობს, მაგრამ აქ ორი დიდი კლუბის ინტერესები ეჯახება. მივიღეთ თუ არა „რეალისგან" ოფიციალური წინადადება? პერესმა ორი თვის წინ რაღაც მკითხა ადრიანოზე, მაგრამ, მგონი, იხუმრა".

**ვაჟა ხუციშვილი**



# ძოფის ტუზი, ხულიო კრუზი

**„ფიორენტინას"** მწვრთნელად ორიოდე დღის წინ დანიშნულმა დინო ძოფმა, კლუბის შეფობას პირველი მოთხოვნა წაუყენა — მას „ინტერიდან" ხულიო კრუზის გადაყვანა სურს.

„გუნდში მეტისმეტად ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელია — თქვა „სკუადრა ატურას" ყოფილმა დამრიგებელმა — ეს, ცხადია, პრობლემებს გვიქმნის და სრულყოფილად მუშაობა შეუძლებელი გახდება. იმედი მაქვს, ჩვენი გენერალური დირექტორი ფაბრიციო ლუკეზი დამეხმარება და რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის ყიდვას შეძლებთ".

კრუზის შეძენა „ფიორენტინას" ძოფის დანიშვნამდეც სურდა, მაგრამ როგორც კი საქმე ფეხბურთელის ხელფასზე მიდგა, მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. არგენტინელი, იმ ორნახევარი წლის მანძილზე, რაც „ფიორენტინაში" უნდა გაეტარებინა, სამი მილიონ ოთხასი ათას გირვანქას ითხოვდა, რომელიც ფლორენციელებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

გარემოებათა გამო, მოლაპარაკება ახლა უფრო იოლი შეიძლება იყოს. საქმე ისაა, რომ კრუზი „ინტერის" სათადარიგო ფეხბურთელად ითვლება და მილანიდან წასვლა ეგებ, ახლა უფრო სურდეს. ადრიანოს დაშავების მერე, ფეხბურთელს იმედი მიეცა, სასტარტო შემადგენლობაში მათამაშებენო, მაგრამ ისევ სკამზე დატოვეს. ერთი სიტყვით, კრუზი იმედგაცრუებულია და ვინძლო ნაკლებ ხელფასსაც დაჰყაბულდეს.

ვარაუდობენ, რომ გარიგება ძალიან სწრაფად, რამდენიმე დღეში შედგება და „ინტერი" არგენტინელის სანაცვლოდ 2.8 მილიონ გირვანქას მიიღებს.

კრუზის აგენტმა გუსტავო გესიმ თქვა: „მოლაპარაკებას „ფიორენტინასთან" და „პალერმოსთან" ვაწარმოებ. ჯერ ვერ გეტყვით, რომელ წინადადებას მივიღებ. ერთი რამ კი გადაწყვეტილია — ჩემი კლიენტი სხვაგან იჯარით გადასვლაზე უარს ამბობს. თუ გარიგება შედგა, მხოლოდ სრულფასოვანი კონტრაქტის საფუძველზე".

**ირაკლი ნინიძე**





დინო ძოფი საქმეს შეუდგა — „ფიორენტინაში" ხულიო კრუზი მინდაო

# ძმა ძმას ჰყიდის

## მიაკითხეთ ედუს, ღია ფანჯარაში

**ლონდონის** „არსენალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი ედუ გუნდს სავარაუდოდ, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დატოვებს: „მეთოფეთ" იუარა კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივება, რომელიც ზაფხულში ეწურება, ამიტომ „არსენალი" ცდილობს ფეხბურთელი ახლავე გაყიდოს, თორემ ივნისში ის უკვე მუქთად გადავა სხვა გუნდში.

ცნობილია, „ვალენსიას" ედუს წაყვანა სურდა, კლაუდიო რანიერიმ კი თქვა, კონტრაქტი რომ დაუმთავრდება მერე გადმოვიყვანთო.

ამასობაში, ბრაზილიელის აგენტმა, მისმა ძმა ჟან-გასპარმა განაცხადა, რომ კვირის ბოლომდე „არსენალს" მსურველები დაუკავშირდებიან და ჩემი ძმაც იქ წავა, სადაც უკეთეს პირობებს შესთავაზებენო.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ" და მადრიდის „რეალმა" ადრევე გამოთქვეს ედუს გადაბირების სურვილი, მაგრამ ამ ზამთარს ორივემ უკვე შეიძინა სასურველი საყრდენი ნახევარმცველი: „ბარსელონაში" ალბერტინი გადავიდა, „რეალში" კი — გრავესენი.

**ვაჟა ხუციშვილი**




# მსაჯმა მსაჯის ტყავი დახია

## ჰოიზერი ცვაიერმა გაყიდა



*ვინ ჩაუშვა 25 წლის რობერტ ჰოიზერი, მსაჯ-დურგალი, რომელსაც „პადერბორნ" — „ჰამბურგის" სათასო მატჩში (4:2) მასპინძელთა სასარგებლოდ სტვენას აბრალებენ? მისმა კოლეგა ფელიქს ცვაიერმა*

**გერმანიაში** ბოლო 30 წლის განმავლობაში არ აგორებულა ასეთი სკანდალი მსაჯების გარშემო. ეს შორეულ 1971 წელს მოხდა, როცა ბილეფილდის „არმინიასა" და „ოფენბახის" გარიგებული მატჩი ამხილეს, რომელშიც 53 ფეხბურთელი, ორი მწვრთნელი და ექვსი ოფიციალური პირი იყო გარეული.

თავად ჰოიზერი ბრალდებას უარყოფს, თუმც გერმანიის საფეხბურთო კავშირს სადისციპლინო კომიტეტმა მას მსაჯობა უკვე აუკრძალა.

ერთი კვირის წინ ოთხმა მსაჯმა — ლუც ფრიოლიხმა, მანუელ გრეფემ, ოლაფ ბლუმენშტაინმა და ფელიქს ცვაიერმა — მიაწოდა კავშირს ინფორმაცია რობერტ ჰოიზერის შესახებ. ოთხეულის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია: „ის ფაქტები და სამხილები, რომელიც გარიგებულ მატჩებს უკავშირდება, საკმარისი იყო საიმისოდ, რომ მსაჯთა კომიტეტისთვის წარგვედგინა. ინფორმაცია ფელიქს ცვაიერმა მოგვცა, ვისთანაც ჰოიზერმა მსაჯობით გამდიდრებაზე ილაპარაკა. გერმანული ფეხბურთის ინტერესების დასაცავად საჭიროდ ჩავთვალეთ, ქვეყნის საფეხბურთო კავშირისთვის მოგვემართა, რათა მსგავსი რამ მომავალში თავიდან ავიცილოთ. დარწმუნებულნი ვართ, რომ სწორად მოვიქეცით, თუმც ჩვენ არც რობერტ ჰოიზერს და არც სხვებს პირდაპირ არ ვადანაშაულებთ".

გერმანიის საფეხბურთო კავშირი დანარჩენი იმ ოთხი მატჩის გამოძიებასაც აპირებს, რომლებშიც 25 წლის დურგალი მსაჯობდა.

ჰოიზერის ადვოკატმა შტეფან ჰოლტჰოფ-პფიორტნერმა კი მედიას გაცოფებულმა განუცხადა: „ჩემი კლიენტი გასულ პარასკევს კავშირის საგანგებო სხდომაზე თვითნებურად, საქმის გამოუძიებლად დასაჯეს".

ამასობაში, კავშირის მსაჯთა კომიტეტის უფროსმა ფოლკერ როტმა ახალი კოდექსის დაწერა განიზრახა, რომლის თანახმადაც არბიტრებს მატჩებზე ფსონების დადება აეკრძალებათ და ვინც ამ კოდექსზე ხელს არ მოაწერს, სასტვენს ჩამოართმევენ, რაც ავტომატურად სამსახურის დაკარგვის ტოლფასია.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბაჭიას ფრანგული ბალახი მოსწონს

**არგენტინელმა** ფორვარდმა ხავიერ სავიოლამ განაცხადა, რომ საფრანგეთში, მომავალ სეზონშიც სიამოვნებით ითამაშებდა.

გასულ ზაფხულს კატალონიურმა „ბარსელონამ" ახალი ფეხბურთელები რომ შეიძინა, სავიოლა „მონაკოში" გაანათხოვრა. საბოლოოდ გამოვიდა ის, რომ „ბარსა" ამ სეზონში საუცხოო ფეხბურთს თამაშობს და არგენტინელ „ბაჭიასაც" ეეჭვება, ესპანეთში დაბრუნებულმა ვინძლო ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ მოიპოვოო.

„ჯერჯერობით ის ვიცი, რომ 30 ივნისს ბარსელონაში აუცილებლად უნდა ჩავიდე. ამის შემდეგ „მონაკო" ან სხვა რომელიმე ძლიერი ფრანგული კლუბი კარგ კონტრაქტს თუ შემომთავაზებს, უარს ნამდვილად არ ვეტყვი. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და გარწმუნებთ, სეზონის დასრულების მერე ესპანეთში დაბრუნების სურვილი არ მაქვს. „მონაკო" ჩემთვის ზედგამოჭრილია — განაცხადა სავიოლამ, რომელმაც ათი გოლი უკვე გაიტანა საფრანგეთის ჩემპიონატში — აქაური კონტრაქტის ამოწურვამდე ექვსი თვე დარჩა და ამ დროის განმავლობაში „მონაკოსთვის" ბოლომდე დავიხარჯები. თუმც ახლა არ ვიცი, მომავალ შემოდგომაზე რომელ გუნდში ვიქნები".

**ვაჟა ხუციშვილი**



ხავიერ სავიოლას (№9) „მონაკოდან" წასვლა არ უნდა

# დელე ალპიზე ლიპის უხმობენ

## წარსულით ვერ იცხოვრებ, ალექს!

*„იუვენტუსის" კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო ბოლო ხანს სპორტული მედიის ყურადღების ცენტრშია. იტალიური ჟურნალ-გაზეთების ვარაუდით, დიდი შანსია, 30 წლის ფეხბურთელმა „დელე ალპი" დატოვოს და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს, თუმც „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელობამ ასეთი ჭორები კატეგორიულად უარყო. ამასთანავე, ვეტერანი ფეხბურთელი ტურინელთა ყოფილმა, ამჟამად კი „სკუადრა აძურას" თავკაცმა მარჩელო ლიპიმაც შეაგულიანა*

„ალესანდრო დიდებული ფეხბურთელია და მასთან განშორებას არ ვაპირებთ. მართალია, ახლა ალექსი კარგ ფორმაში არ არის, მაგრამ ყველაფერი მალე გამოსწორდება. მის აგენტს არაერთი კლუბის წარმომადგენელი უკავშირდება და სარფიან წინადადებებს სთავაზობს, მაგრამ ამას აზრი არ აქვს. დელ პიერო არ იყიდება" — განაცხადა „იუვენტუსის" გენერალურმა მენეჯერმა ლუჩანო მოჯიმ.

მოკლე კომენტარი ტურინელთა მმართველმა დირექტორმა ანტონიო ჯირაუდომაც დაურთო: „დელ პიერო სულით ჩემპიონი და კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა. თუმცა ისეთ გუნდში, როგორიც „იუვეა", წარსულით ვერ იცხოვრებ. მჯერა, იგი კვლავ აღიდგენს მისთვის ჩვეულ ფორმას და ისევ ძირითადში დაიბრუნებს ადგილს. ნუ დაავიწყდება — სათადარიგოთა სკამზე დიდი ფეხბურთელებიც მჯდარან".

ჭორები კი მაინც არ ცხრება და ამის გარკვეული საფუძველიც არსებობს. დელ პიეროს გუნდის ახალ თავკაც ფაბიო კაპელოსთან იდეალური ურთიერთობა რომ არ აქვს, არახალია. შეგახსენებთ, წლეულს, 30 წლის ფეხბურთელი კაპელომ ფაქტობრივად ყველა მატჩში დროზე ადრე გაიყვანა მოედნიდან, რამდენჯერმე კი საერთოდ სათადარიგოთა სკამზე დატოვა.





მარჩელო ლიპიმ ალესანდრო დელ პიერო შეაგულიანა

ასე მოხდა გასულ უქმეებზე „ბრეშასთან" მატჩშიც, რამაც „იუვეს" ქომაგები ძალიან გაანაწყენა. ტიფოზთა უდიდესმა ნაწილმა თამაშის მსვლელობისას „ლიპი, ლიპი"-ს სკანდირებაც კი დაიწყო. რატომ? მარჩელო ლიპიმ ხომ ტურინული გრანდი 10 წელი მართა, ხოლო დელ პიერო ყოველთვის მისი ერთ-ერთი რჩეული ფეხბურთელი იყო.

„იუვენტუსში" ძალიან დიდი დრო გავატარე და, ბუნებრივია, გულშემატკივარი შემეძინა. ამიტომ, ამაში განსაკუთრებული არაფერია, ეს კაპელომაც აღნიშნა. ქომაგების მესმის, მაგრამ მწვრთნელმა ის უნდა გააკეთოს, რასაც საჭიროდ ჩათვლის. რაც შეეხება დელ პიეროს, იგი სრულყოფილი მოთამაშეა და შექმნილ ვითარებას გაგებით უნდა მოეკიდოს. ალექსი 30 წლისაა და ჯერ კიდევ არაერთი სეზონი აქვს წინ. მჯერა, ფორმას მალე აღიდგენს და ისევ ჩვეულებრივ ითამაშებს" — ბრძანა ლიპიმ.

ბოლოს დავძენთ, რომ დელ პიეროს შეძენის სურვილი რამდენიმე იაპონურმა კლუბმა უკვე გამოთქვა და ფეხბურთელს ძალიან მომხიბვლელი ფინანსური წინადადებაც შესთავაზა. გარდა ამისა, მისი ხელში ჩაგდება „პალერმოსაც" სურს. 30 წლის თავდამსხმელის აგენტის თქმით კი, მას „ჩელსის", „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „რეალის" წარმომადგენლებიც დაუკავშირდნენ.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, დელ პიერო „იუვენტუსის" საკუთრება 2008 წლამდეა.

**გიორგი ძაძამიძე**

# რა ღირს სიზმარა ჰიცფელდის ძილი?

**ოტმარ ჰიცფელდმა ბუნდესნაკრების მწვრთნელობა რატომ იუარა? იმიტომ, რომ ცოლმა სთხოვა, დაისვენეო. მოკლედ, გამოძინება და დასვენება სჭირდებოდა, საამისოდ კი ერთწლიანი „შვებულება“ აიღო. ერთხელ, ღამე, ჰიცფელდის სახლში ქურდები შეიპარნენ და პატრონის ავტომობილი გაიტაცეს. კაცმა ოთხთვალა რომ ვერ ნახა, ცოლს უთხრა, პოლიციაში დარეკეო, თვითონ კი თავქვეშ ბალიში ამოიდო, საბანი წაიფარა და ძილს მიეცა.**

**ოტმარ ჰიცფელდი ფეხბურთზე, ძილზე, წიგნსა და მეგობარ პასტორზე საუბრობს**

**— ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენთვის მწვრთნელობა არავის შეუთავაზებია...**

— არაერთი წინადადება მივიღე. მადრიდის „რეალში“ და თურქეთის ნაკრებშიც მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ყველა უარით გავისტუმრე. პირველ ივლისამდე მუშაობას არ ვაპირებ, შემდეგ კი თუ რომელიმე ვარიანტი მომეწონა, მწვრთნელობას გავაგრძელებ, არადა, საბოლოოდ გადავალ შვეიცარიაში საცხოვრებლად, სადაც ისედაც ბევრ დროს ვატარებ.

**— ფეხბურთში დაბრუნების ასეთი ზუსტი ვადა რატომ დათქვით?**

— საქმე ისაა, რომ ჩემი მეუღლის ახალგაზრდა ძმა გულის შეტევით გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ბეატრისზე ისე დამთრგუნველად იმოქმედა, რომ მან მთხოვა, ფეხბურთის ერთი წლით მაინც ჩამოვშორებოდი. შეეშინდა, გიჟური რეჟიმით ცხოვრობ, შენც არაფერი დაგემართოსო. დავთანხმდი, რადგან ოჯახი მთავარია და ყველაფერს უნდა ანაცვალო.

**— არ გეშინიათ, რომ უქმობისას თანამედროვე ფეხბურთის განვითარებას ჩამორჩეთ?**

— საბედნიეროდ, მწვრთნელებისთვის პრაქტიკის უქონლობა პრობლემა არ არის. ბურთის დევნა და გოლების გატანა კი არა, თავით მუშაობა გვჭირდება.

**— კლუბში მუშაობა გირჩევნიათ თუ ნაკრებში?**

— რაც უფრო მემატება ასაკი, მით უფრო მეტს ვფიქრობ მშვიდ ცხოვრებაზე. ხშირად მგზავრობის პერსპექტივა აღარ მხიბლავს, ამიტომ ნაკრებს ავირჩევდი.

**— მემუარების დაწერას ჯერ არ აპირებთ, თუმც თქვენს შესახებ წიგნი უკვე გამოსცეს, რომლის ავტორიც პასტორია...**

— ის მხოლოდ სასულიერო პირი კი არა, მწვრთნელიცაა. თან ჩვენ ვმეგობრობთ. დაახლოებით სამი წლის მანძილზე ჩამჩიჩინებდა, წიგნზე მუშაობაში მომეხმარე, ბევრ დროს არ წაგართმევ, მეტწილად შენს მეგობრებთან მექნება საქმეო. ხული ვუარობდი, მაგრამ ერთხელ „ბაიერნის“ გამარჯვების შემდეგ, ისეთ ეიფორიაში ვიყავი, რომ მან ამით ისარგებლა და დამითანხმა.

**— მორწმუნე ხართ?**

— რა თქმა უნდა. ყოველი მატჩის წინ ლოცვებს ვკითხულობდი და ღმერთს ვმადლიერებდი, რომ ასეთი საინტერესო სამუშაო მიბოძა. დედაჩემს კი უნდოდა, სასულიერო პირი გავმხდარიყავი და ჩემი ცხოვრება რელიგიისთვის მიმეძღვნა, მაგრამ მე არ მსურდა. მათემატიკამ გამიტაცა, პედაგოგიურზე ვსწავლობდი, თან ფეხბურთსაც ვერ ველეოდი. მაშინ, ბეატრისი ჯერ კიდევ ჩემი საცოლე იყო, რომელიც ძალიან მიყვარდა, უმისოდ ცხოვრება წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. ხოლო ჩემს მეგობარ პასტორს, რომელმაც წიგნი დაწერა, ამასწინათ ქალი ისე ძალიან მოეწონა, რომ კათოლიკური ეკლესიიდან სხვაგან გადავიდა, იქ, სადაც ქორწინება დაშვებულია.

**— დორტმუნდის „ბორუსიაში“ მწვრთნელობის შემდეგ სპორტული დირექტორი გახდით, შემდეგ კი ძველ სამუშაოს ისევ დაუბრუნდით, ამჯერად „ბაიერნში“. ერთ ადგილზე რატომ არ ჩერდებოდით?**




— მეგონა, სამწვრთნელო საქმის გარეშე ცხოვრებას შევძლებდი, მაგრამ, როგორც კი ჩინოვნიკის სავარძელში ჩავჯექი, მივხვდი, რომ შევცდი. მაგიდასთან ჯდომა საშინლად მოსაწყენი იყო, თან ჩემი ოთახის ფანჯრიდან საფეხბურთო მოედანს რომ ვხედავდი... ვერ წარმოიდგენთ, მინდვრის დანახვაზე გული როგორ მიფრიალებდა.

**— განიცდით, რომ „ბორუსია“ ახლა ცუდ დღეშია?**

— რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ვარ. იქ ხომ ბევრი მეგობარი მყავს. ვიმედოვნებ, ისინი პრობლემებს მალე მოაგვარებენ.

**— „ბაიერნში“ თქვენს მისვლამდე შვიდ წელიწადში რვა მწვრთნელი გამოცვალეს...**

— მე დარწმუნებული ვიყავი საკუთარ შესაძლებლობაში და მათი ხშირი ცვლის გამო არ შემშინებია. წინასწარ ვიცოდი, რომ ბეკენბაუერის ნებისმიერ რეპლიკას წავუყრუებდი და უპასუხოდ დავტოვებდი. ჩემი დევიზია — შეინარჩუნე სიმშვიდე და აკეთე შენი საქმე.

**— თქვენს შემდეგ „ბაიერნში“ მისულმა ფელიქს მაგათმა კი დაიჩივლა, ფეხბურთელები მწვრთნელზე მეტ ჯამაგირს რომ იღებენ, უსამართლობააო...**

— ვფიქრობ, რომ ნებისმიერს უხდიან იმდენს, რამდენსაც იმსახურებს. მე ყოველთვის კმაყოფილი ვიყავი ჩემი ანაზღაურებით, თან მწვრთნელს, როცა უნდში მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ჰყავს, გუნდსაც წარმატების მეტი შანსი აქვს.

**— ძნელია იმ გუნდის თავკაცობა, რომელშიაც ოცი სხვადასხვა ეროვნების ლეგიონერი თამაშობს?**

— იოლი ნამდვილად არ არის, მაგრამ მოვახერხე ვარსკვლავებთან ურთიერთობა. მთავარია, რომ ყველასთან პირნათელი იყო. იყო შემთხვევები, როცა ზოგჯერ ფეხბურთელები ერთმანეთისკენ მუშტებითაც იწევდნენ. ერთხელ ბიქსენტ ლიზარაზუმ ლოთარ მათეუსს ყურში ისეთი შემოჰკრა, რომ... ამას ფილოსოფიურად მივუდექი, რადგან მიმაჩნია, რომ გუნდში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სამწუხაროდ, მათეუსი ასე არ ფიქრობდა და „ბაიერნიდან“ წასვლა დააპირა. არადა, მეორე დღეს ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველოდა. იძულებული გავხდი, მოჩხუბრებთან აღმზრდელობითი საუბარი ჩამეტარებინა. ოცწუთიანი ლექციის შემდეგ ლიზარაზუ და მათეუსი შერიგდნენ.

**— ხშირად გიწევდათ ფეხბურთელებთან სათითაოდ საუბარი?**

— საკმაოდ, თუმცა ყველასთან სალაპარაკოდ დრო არ მყოფნიდა, ამიტომ მატჩის წინ იმ ბიჭებს ვეთათბირებოდი, რომლებსაც გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშათ.

**— გიძნელდებოდათ ამა თუ იმ ფეხბურთელისთვის თქმა, რომ იგი ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდებოდა?**

— თავიდან მიჭირდა, მაგრამ მერე თავი ექიმად წარმოვიდგინე, რომელმაც პაციენტს მწარე სიმართლე უნდა უთხრას. ამასთან, ვცდილობდი, ეს სიმართლე შემერბილებინა და ფეხბურთელისთვის შანსი დამეტოვებინა.

**— ოლივერ კანთან ასეთი მიდგომა ჭრიდა?**

— დიახ. მახსოვს ერთხელ, ჩვენი მეკარე თავს ვეღარ აკონტროლებდა, სტრესულ მდგომარეობაში იყო — ვიღაცას უკბინა, ვიღაცას გაშლილი ფეხი უთავაზა. ასეთი საქციელის გამართლება ძნელია, მაგრამ ახსნა იოლი: გამარჯვების წყურვილით შეპყრობილი კანი ყველაფერს კადრულობდა. ცხადია, მას არ ესიამოვნა, რომ დროებით სათადარიგოდ გამწესება დავუპირე, მაგრამ იძულებული გახდა დამთანხმებოდა.

**— მატჩის დროს მეტად სერიოზული, თითქოს ნატანჯი კაცის იერი გაქვთ...**

— ჩვეულებრივ, ცხოვრებაში ძალიან მხიარული ადამიანი ვარ, მაგრამ იმ აქტის დროს, რომელიც ჩემი მომდევნო ერთი კვირის განწყობა-ხასიათს განსაზღვრავს, რასაკვირველია, ვნერვიულობ. გულშემატკივრების გაწბილება არ მსურს და კლუბის სალაროც უნდა შეივსოს.

**— გერმანული მედია კი რატომღაც „მხდალ გენერალს“ გიწოდებთ. რატომ?**

— „გენერალი“? ეს ალბათ დისციპლინისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო შემარქვეს. რაც შეეხება სიმხდალეს, ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. „ბაიერნის“ მენეჯერ ული ჰოენესს მიაჩნია, რომ მეტად მგრძნობიარე ვარ. ნებისმიერი მარცხის შემდეგ ცუდად მძინავს — გონებაში ვატრიალებ გამოუყენებელ საგოლე მომენტებს. უფრო უძილო ღამეების გამო გადავწყვიტე ერთწლიანი შვებულების აღება. ახლა იმდენ ხანს მძინავს, რამდენსაც მოვისურვებ. ერთ შემთხვევას გიამბობთ: ღამე ქურდი შემოძვრა, ავტომობილის გასაღები აიღო და მანქანა წაიყვანა. როცა აღმოვაჩინე, რომ ოთხთვალა ეზოში აღარ იყო, ცოლს ვთხოვე, პოლიციაში დაერეკა, მე კი ძილი გავაგრძელე.

**— ასე ძალიან გიყვართ ძილი?**

— ყველაფრის ყიდვა შეიძლება, ტკბილი ძილის გარდა.

## ინგლისი

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი**

**შოტფორდი 0:1 ლივერპული (0:1)**

0:1 ჯერარდი (77)

## ესპანეთი

**სამეფო თასი 1/4 ფინალი. I მატჩი**

**ბილბაო 3:2 ვალიადოლიდი**

0:1 ინაკი (9), 1:1 დელ ორნო (19), 2:1 ეხკერო (74), 3:1 ირაოლა (79პ), 3:2 ადურიცი (87პ)

## საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი XXIII ტური**

**მარსელი 0:2 სოშო**

0:1 სანტოსი (53), 0:2 პიტო (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 22 | 12 | 9 | 1 | 28:10 | 45 |
| ლილი | 22 | 12 | 6 | 4 | 29:15 | 42 |
| მონაკო | 22 | 10 | 9 | 3 | 32:20 | 39 |
| ოსერი | 22 | 11 | 5 | 6 | 30:20 | 38 |
| მარსელი | 23 | 11 | 5 | 7 | 27:21 | 38 |
| ტულუზი | 22 | 9 | 8 | 5 | 25:18 | 35 |
| სოშო | 23 | 9 | 6 | 8 | 30:23 | 33 |
| სტ. ეტიენი | 22 | 6 | 11 | 5 | 27:20 | 29 |
| პსჟ | 22 | 6 | 11 | 5 | 23:22 | 29 |
| რენი | 22 | 8 | 5 | 9 | 22:25 | 29 |
| ბორდო | 22 | 5 | 13 | 4 | 25:20 | 28 |
| ნიცა | 22 | 6 | 8 | 8 | 27:32 | 26 |
| მეცი | 22 | 6 | 8 | 8 | 18:29 | 26 |
| ლანსი | 22 | 5 | 10 | 7 | 21:23 | 25 |
| ნანტი | 22 | 5 | 7 | 10 | 19:24 | 22 |
| სტრასბური | 22 | 4 | 9 | 9 | 20:29 | 21 |
| ბასტია | 22 | 5 | 6 | 11 | 16:26 | 21 |
| კაენი | 22 | 4 | 8 | 10 | 17:37 | 20 |
| აიაჩო | 22 | 3 | 10 | 9 | 17:26 | 19 |
| ისტრი | 22 | 2 | 10 | 10 | 12:25 | 16 |

**მეორე დივიზიონი XXIII ტური**

**ამიენი 1:2 სედანი**
**ანჟე 0:1 ლავალი**
**კლერმონი 0:0 ბრესტი**
**კრეტეი 0:0 გრენობლი**
**ნიორი 0:0 შატორუ**
**რეიმსი 3:0 ლე ავრი**
**ლე მანი 1:2 გენიონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 22 | 12 | 5 | 5 | 31:20 | 41 |
| ტრუა | 23 | 11 | 5 | 7 | 39:32 | 38 |
| სედანი | 23 | 10 | 7 | 6 | 22:21 | 37 |
| გენიონი | 23 | 8 | 11 | 4 | 20:16 | 35 |
| ლე მანი | 23 | 10 | 5 | 8 | 25:22 | 35 |
| შატორუ | 23 | 7 | 13 | 3 | 27:20 | 34 |
| მონპელიე | 22 | 9 | 6 | 7 | 23:18 | 33 |
| ბრესტი | 23 | 7 | 11 | 5 | 24:24 | 32 |
| ლავალი | 23 | 9 | 5 | 9 | 26:27 | 32 |
| რეიმსი | 23 | 8 | 8 | 7 | 25:28 | 32 |
| გრენობლი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:26 | 30 |
| დიჟონი | 22 | 7 | 9 | 6 | 23:21 | 30 |
| გენგამი | 22 | 8 | 5 | 9 | 28:28 | 29 |
| ამიენი | 23 | 6 | 9 | 8 | 20:23 | 27 |
| ლორიანი | 23 | 8 | 3 | 12 | 28:33 | 27 |
| კლერმონი | 22 | 5 | 10 | 7 | 25:24 | 25 |
| ლე ავრი | 23 | 6 | 6 | 11 | 15:23 | 24 |
| კრეტეი | 23 | 5 | 8 | 10 | 20:24 | 23 |
| ნიორი | 23 | 6 | 4 | 13 | 20:31 | 22 |
| ანჟე | 23 | 4 | 9 | 10 | 21:29 | 21 |

## შოტლანდია

**პრემიერლიგა გადადებული მატჩი**

**ლივინგსტონი 1:2 ჰართსი**

1:0 ლილი (74), 1:1 ჰარტლი (85), 1:2 ლ. მილერი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 23 | 19 | 2 | 2 | 52:19 | 59 |
| რეინჯერსი | 23 | 17 | 5 | 1 | 48:11 | 56 |
| ჰიბერნიანი | 23 | 13 | 4 | 6 | 41:29 | 43 |
| აბერდინი | 23 | 10 | 6 | 7 | 24:22 | 36 |
| ჰართსი | 23 | 9 | 8 | 6 | 26:21 | 35 |
| მოზერუელი | 23 | 9 | 3 | 11 | 28:31 | 30 |
| კილმარნოკი | 23 | 9 | 2 | 12 | 31:39 | 29 |
| ინვერნესი | 23 | 5 | 7 | 11 | 25:35 | 22 |
| დანფერმლაინი | 23 | 5 | 6 | 12 | 21:34 | 21 |
| დანდი | 23 | 5 | 5 | 13 | 24:43 | 20 |
| დანდი იუნ. | 23 | 3 | 8 | 12 | 23:38 | 17 |
| ლივინგსტონი | 23 | 4 | 4 | 15 | 19:40 | 16 |

**ასოციაციის თასი მერვედფინალის წილისყრა**

**5 თებერვალი:** აბერდინი — ინვერნესი; ალოა — ლივინგსტონი; ეარი — სენტ მირენი; ჰართსი — კილმარნოკი; ჰიბერნიანი — ბრეჩინი; ქუინი — დანდი იუნაიტედი; როსი — კლაიდი

**6 თებერვალი:** დანფერმლაინი — სელტიკი

# უსარგებლო დელვეკიო სარგებელს ბრეშაში ნახავს



**მარკო დელვეკიოს** აგენტის თქმით, მისი კლიენტი რამდენიმე დღეში „ბრეშაში" გადავა.

ის, რომ „რომას" იტალიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი აღარ სჭირდება, აქედანაც ჩანს: ამ სეზონში დელვეკიო სულ ხუთ მატჩში ათამაშეს — ოთხჯერ სერია A-ში და ერთხელაც ჩემპიონთა ლიგაში.

გასტონ რიზატომ, თავში ნახსენებმა აგენტმა დასძინა: კლუბებს შორის, ასევე დელვეკიოსა და „ბრეშას" შორის, ყველა საკითხი შეთანხმებულია. პროცესის დასრულებას მცირე ფორმალობებიღა უკლია".

დელვეკიომ „რომაში" ცხრა სეზონი გაატარა. დედაქალაქში ის 1996 წელს მილანის „ინტერიდან" გადავიდა. თავის დროზე კი „ვენეციასა" და „უდინეზეშიც" უთამაშია.

ახლა ლაპარაკი იყო, რომ ფეხბურთელის გადაბირებას „ატალანტა" და რამდენიმე პრემიერლიგური კლუბი ლამობდა, მაგრამ გამარჯვება „ბრეშას" დარჩა.

შევნიშნოთ, რომ დელვეკიო ალბათ ერთადერთი რომაელი არ არის, ვინაც კარიერას ბრეშას „სტადიო რიგამონტიზე" გააგრძელებს, ბრეშელებს „რომას" კამერუნელი მცველის, პიერ ვომეს წაყვანაც სურთ.

„რამდენიმე დღეში გადავწყვეტთ, ვომე ნამდვილად გვჭირდება თუ არა" — თქვა „ბრეშას" მწვრთნელმა ჯოვანი დე ბიაზიმ.

**ირაკლი ნინიძე**

# ბენიტესს ლივერპულში აუმხედრდა




**ინგლისური** „ლივერპულის" ესპანელი თავკაცი რაფაელ ბენიტესი „ენფილდზე" თავისი თანამემამულე ფეხბურთელების ყოფნას თავგამოდებით იცავს.

„წითლები" ბოლო დროს ძველებური შემართებით ვერ თამაშობენ. კლუბის თავგადაკლული ფანებიც განრისხებულნი არიან, მიზეზად კი მერსისაიდელებს პირინეის ნახევარკუნძულიდან „ჩამოსახლებული" ესპანელები მოჰყავთ, მაგათი ბრალია ჩვენი საყვარელი გუნდის უჯიგრო და უსისხლო თამაში, ამიტომაც წავაგეთ „საუთჰემპტონთან ბოლო ტურშიო".

ბრიტანულ მედიაშიც თურმე რამდენჯერმე დაიწერა ანტიესპანური განწყობა და ბენიტესიც, რასაკვირველია, შეგირდთა დასაცავად იმაღლებს ხმას.

„მაურისიო პელეგრინო შესანიშნავი ფეხბურთელია და ფერნანდო მორიენტესი ხომ ზღაპრული მოთამაშე გახლავთ. ცუდი არც ლუის გარსიაზე მეთქმის. ანაც ხაბი ალონსოს, თუნდაც ხოსემის რას ერჩით?" — შეეპასუხა ფანებს ბენიტესი.

მოკლედ, რაფა თავისას არ იშლის, „ლივერპულის" ფანები კი... უახლოეს ტურში „წითლები" სტუმრად „ჩარლტონს" ხვდებიან და თუ იქაც უხეიროდ ითამაშეს, განრისხება მერე ნახეთ.

**ლადო ხომერიკი**

# კრესპო არგენტინაში დაბრუნდა

**9 თებერვალს** დიუსელდორფში ამხანაგური მატჩი გაიმართება — მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძელი გერმანიის ეროვნული გუნდი არგენტინის ნაკრებს ისტუმრებს.

სამხრეთამერიკელთა თავკაცმა ხოსე პეკერმანმა ამ თამაშისთვის 20 ფეხბურთელი გამოიძახა და მათ შორის „მილანის" ლეგიონერი ერნან კრესპო.

რატომ გავამახვილეთ მაინც და მაინც კრესპოზე ყურადღება? საქმე ისაა, რომ მილანელს ეროვნულ გუნდში შარშანდელი ივნისის მერე არ უთამაშია — მიზეზი მარტივი იყო, კრესპო ჩვეულ ფეხბურთს ვერ თამაშობდა და ვერც გოლები გაჰქონდა ანუ ფორმაში არ გახლდათ.

პეკერმანმა მის გარდა ნაკრებში ესპანურ „ვილიარეალში" ჩინებულად მოთამაშე ხუან რომან რიკელმეს და ესპანურსავე „ვალენსიაში" მობურთალ პაბლო აიმარს უხმო.

სამაგიეროდ, ატლეტიკოელ მეკარე ლეო ფრანკოს არ ჰყავს ჯერჯერობით კონკურენტი, პეკერმანი მისი დუბლიორის ვინაობას მალე გაამხელს.

**გიორგი გაგაძიძე**



## არგენტინა

*მეკარე: ლეო ფრანკო (ატლეტიკო, ესპანეთი);*

*მცველები: გაბრიელ მილიტო (სარაგოსა, ესპანეთი), გონსალო როდრიგესი (ვილიარეალი, ესპანეთი), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი, გერმანია), ხავიერ ძანეტი, ნიკოლს ბურდისო (ორივე ინტერი, იტალია), ფაბრიციო კოლოჩინი (მილანი, იტალია), ლეანდრო კუფრე (რომა, იტალია), გაბრიელ ჰაინცე (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: ხუან რომან რიკელმე (ვილიარეალი, ესპანეთი), ლუკას ბერნარდი (მონაკო, საფრანგეთი), პაბლო აიმარი (ვალენსია, ესპანეთი), ალდო დუშერი, ლიონელ სკალონი (ორივე დეპორტივო, ესპანეთი), მაქსი როდრიგესი (ესპანიოლი, ესპანეთი), ლეონარდო პონციო (სარაგოსა, ესპანეთი), ესტებან კამბიასო (ინტერი, იტალია);*

*თავდამსხმელები: ერნან კრესპო (მილანი, იტალია), ხავიერ სავიოლა (მონაკო, საფრანგეთი), ლუჩანო გალეტი (სარაგოსა, ესპანეთი)*

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურმა** „მილანმა" თვალი მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველ ბასტიან შვაინსტაიგერს დაადგა. როგორც აპენინური მედია იტყობინება, „როსონერი" მზადაა 20 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ მიუნხენურ კლუბს არც მეტი, არც ნაკლები, 4 მილიონი ევრო გადაუხადოს, მაგრამ გერმანელებმა „შავ-წითლების" წინადადება უმალ შორს დაიჭირეს. ჯერ ერთი, შვაინსტაიგერი ჩვენ უფრო გვჭირდება და მეორეც, თუ გაყიდვა დავაპირეთ, ბასტიანს ასე იაფად ვერ შეველევითო.

**ინგლისური** „პორტსმუთის" თავკაცმა ველიმირ ზაიეცმა რამდენიმე დღე საბერძნეთში გაატარა. როგორც გაირკვა, იგი აეკ-ის ნახევარმცველ კოსტას კაცურანისს, „პანათინაიკოსის" გოლკიპერ კონსტანტინოს ხალკიასსა და „ეგალეოს" მცველ გიორგოს ალექსოპულოსს აკვირდებოდა. ბრიტანული პრესის ცნობით,ფაქტობრივად გადაწყვეტილია ხალკიასის ტრანსფერი. იგი ლონდონურ კლუბთან ორწლინახევრიან კონტრაქტს გააფორმებს.

**უკრაინული** „შახტარი" ბრაზილიური „ატლეტიკო პარანაენსეს" ორი ფეხბურთელით გაძლიერდა. დონეცკელებმა 5 მილიონი ევროს სანაცვლოდ, ახალგაზრდა გამთამაშებელი ჟადსონი შეიძინეს. მხარეებმა ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი, ხოლო ივან სარაივა დე სოუზა „შახტარმა" სეზონის ბოლომდე ინათხოვრა, საბოლოოდ გამოსყიდვის პერსპექტივით. კლუბმა მასში 40 ათასი ევრო გადაიხადა. ფეხბურთელებმა უკვე გაიარეს სამედიცინო შემოწმება და ესპანეთში, შეკრებაზე მყოფ „შახტარსაც" შეუერთდნენ.

**ინგლისურმა** „ევერტონმა" მეკარე ნაიჯელ მარტინთან გააახანგრძლივა კონტრაქტი. ძველი შეთანხმებით, 38 წლის გოლკიპერს გუნდი სეზონის ბოლოს უნდა დაეტოვებინა. ახალი კონტრაქტის თანახმად კი ვეტერანი მეკარე კიდევ ერთ სეზონს გაატარებს „გუდისონ პარკზე". როგორც ამბობენ, „ლიდსის" ყოფილი ფეხბურთელი შემდეგ კარიერასაც „ევერტონში" დაასრულებს.

**ესპანური** „ესპანიოლის" მცველ ოსკარ მინიამბრესს ოპერაცია წარმატებით გაუკეთეს. ექიმების თქმით, ფეხბურთელს სარეაბილიტაციოდ დაახლოებით 6-7 თვე დასჭირდება. მინიამბრესს მუხლის ტრავმა აწუხებდა.

**ინგლისური** „ჩელსი" მომავალ ზაფხულს ორი ბრაზილიელის, „ინტერის" ფორვარდ ადრიანოსა და „აიაქსის" მცველ მაქსველის შეძენას აპირებს, თუმც ლონდონელებს აქედანვე უარი შეუთვალეს — ნურც იოცნებებთო. ამსტერდამელთა თქმით, მაქსველი 2008 წლამდე ვერსად წავა, ხოლო ადრიანომ ზრდილობიანი მადლობა გადაუხადა ჟოზე მაურინიუს დაინტერესებისთვის.

**გერმანულ** „შტუტგარტს" იტალიური „პარმას" ფრანგი მეკარის, სებასტიან ფრეის შეძენა სურს. იცით, მათიას ზამერის გუნდს მომავალ ზაფხულს ტიმო ჰილდებრანდი ტოვებს და „შტუტგარტის" უფროსობაც მის შემცვლელს ამიტომ ეძებს. 25 წლის ფრეის ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ ამბობენ, ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბისკენ გული მიუწევსო.

**ინგლისური** „არსენალის" ნახევარმცველი ჯერმენ პენანტი ზაფხულამდე „ბირმინგემში" ითამაშებს. „მეთოფეებს" 21 წლის ფეხბურთელი მარტო სათამაშო პრაქტიკის მისაღებად არ გაუნათხოვრებიათ, იგი გარკვეულწილად დასაჯეს კიდეც. პენანტი რთული ხასიათით გამოირჩევა, გასულ კვირას იგი ნასვამი მართავდა ემლი კოულის „მერსედესს" და ავარიაშიც მოჰყვა. „ბირმინგემში" პენანტი არა მარტო პრაქტიკას მიიღებს, თავისი ცხოვრების წესზეც დაფიქრდება და იმედია, დაჭკვიანდება" — განაცხადა ლონდონელთა თავკაცმა არსენ ვენგერმა.

**რუსული** ცსკა-ს თავდამსხმელი სერგეი დადუ ინგლისურ „კრისტალ პალასში" გადადის. 24 წლის მოლდოველმა არმიელთა რიგებში ერთი წელი გაატარა და თავიც ვერაფრით გამოიჩინა, მაგრამ ლონდონელთა ყურადღების ცენტრში მაინც მოექცა. „არწივებმა" იგი დმიტრი ბულიკინს ამჯობინეს. სავარაუდოდ, ტრანსფერი ოფიციალურად კვირის ბოლომდე გაფორმდება. კონტრაქტის პირობები კი ჯერჯერობით არ ხმაურდება.

**ინგლისური** „ბირმინგემის" თავკაც სტივ ბრიუსს ჩეხი ვლადიმირ შმიცერის ხელში ჩაგდება სურს. ვეტერანი ფეხბურთელი მერსისაიდელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება და სხვა კლუბში გადასვლაც ამიტომ უნდა. ბრიტანული პრესის ცნობით, „ლივერპული" თანახმაა გარკვეული თანხის სანაცვლოდ შმიცერს შეელიოს.

**ესპანური** „ბილბაოს" თავდამსხმელმა ხოსება ეჩებერიამ „ევერტონში" გადასვლა იუარა. ლივერპულული კლუბის მწვრთნელი დევიდ მოიესი პირადად ეპატიჟებოდა ეჩებერიას და კლუბიც მზად იყო, ბასკებისთვის ხუთი მილიონი ევრო გადაეხადა მის სანაცვლოდ, მაგრამ ფეხბურთელმა განაცხადა: „სან მამესზე" თამაში ერთი სიამოვნებაა, „ატლეტიკო" კი ჩემი ცხოვრება. მეამაყება, როცა ჩემით ისეთი ცნობილი გუნდი დაინტერესდა, როგორიც „ევერტონია", მადლობა დევიდ მოიესს, მაგრამ მომიტევეთ და ბილბაოდან წასვლა ნაღდად არ მსურს".

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. I ლიგა

**28 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 6 | ბრისტოლი-ჩესტერფილდი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 8 | ლუტონი-ტრანმერი | 2.05 | 3.2 | 3.3 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 9 | სუინდონი-სტოკპორტი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 10 | უოლსოლი-ჰადერსფილდი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 11 | რექსემი-დონკასტერი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 12 | ლოსს-უენსლი | 3.2 | 3.2 | 2.1 | 1.6 | 1.26 | 1.26 |

### ინგლისი. II ლიგა

**28 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 15 | ჩელტენჰემი-გრიმსბი | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 16 | ლეიტონი-ნოტსი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 17 | მაკლსფილდი-ბერი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 18 | ოქსფორდი-როვერსი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 18:00 | 19 | როჩდეილი-რაშდენი | 1.75 | 3.4 | 4.0 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 18:00 | 20 | სკანთორპი-ბოსტონი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| 18:00 | 21 | შრიუსბერი-უიკომბი | 2.4 | 3.2 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 18:00 | 22 | საუთენდი-დარლინგტონი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 23 | სუონსი-ჩესტერი | 1.55 | 3.5 | 5.5 | 1.07 | 1.2 | 2.13 |
| 18:00 | 24 | კემბრიჯი-კიდერმინსტერი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 18:00 | 25 | ლინკოლნი-მენსფილდი | 1.9 | 3.2 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 38 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 18:00 | 39 | ჰართსი-აბერდინი | 1.95 | 3.2 | 3.4 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| 18:00 | 40 | ინვერნესი-დანფერმლაინი | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 18:00 | 41 | მოზერუელი-ჰიბერნიანი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 42 | რეინჯერსი-ლივინგსტონი | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 43 | კილმარნოკი-სელტიკი | 9.0 | 4.5 | 1.25 | 3.0 | 1.09 | 1.0 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 44 | ერდრი-ჰამილტონი | 1.8 | 3.5 | 3.6 | 1.18 | 1.2 | 1.77 |
| 18:00 | 45 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 1.85 | 3.4 | 3.5 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 18:00 | 46 | პარტიკი-რეითი | 1.5 | 3.7 | 5.3 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 18:00 | 47 | ქუინი-სტ.მირენი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 48 | როსი-ფოლკირკი | 3.55 | 3.5 | 1.8 | 1.76 | 1.19 | 1.18 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 49 | ალოა-დამბარტონი | 1.8 | 3.5 | 3.4 | 1.18 | 1.17 | 1.72 |
| 18:00 | 50 | არბროთი-ეარი | 2.85 | 3.5 | 2.05 | 1.57 | 1.19 | 1.29 |
| 18:00 | 51 | ფორფარი-ბერიკი | 1.75 | 3.4 | 3.7 | 1.15 | 1.18 | 1.77 |
| 18:00 | 52 | მორტონი-ბრეჩინი | 2.5 | 3.4 | 2.3 | 1.44 | 1.19 | 1.37 |
| 18:00 | 53 | სტრანრარი-სტირლინგი | 1.6 | 3.7 | 4.2 | 1.11 | 1.15 | 1.96 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 54 | ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 4.3 | 3.6 | 1.6 | 1.95 | 1.16 | 1.1 |
| 18:00 | 55 | ელგინი-ალბიონი | 1.7 | 3.6 | 3.8 | 1.15 | 1.17 | 1.84 |
| 18:00 | 56 | გრეტნა-ისტ ფაიფი | 1.15 | 6.0 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| 18:00 | 57 | მონტროუზი-კოუდენბითი | 2.5 | 3.6 | 2.25 | 1.47 | 1.18 | 1.38 |
| 18:00 | 58 | სტენჰაუზმუირი-პიტერჰედი | 6.5 | 4.4 | 1.35 | 2.62 | 1.11 | 1.03 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 59 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 17:30 | 60 | ლევერკუზენი-ბოხუმი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 17:30 | 61 | შტუტგარტი-ნიურნბერგი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 17:30 | 62 | არმინია-ჰანოვერი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 17:30 | 63 | დორტმუნდი-გლადბახი | 1.7 | 3.4 | 4.6 | 1.13 | 1.24 | 1.95 |
| 17:30 | 64 | ფრაიბურგი-ვოლფსბურგი | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 17:30 | 65 | ჰამბურგი-მაინცი | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 66 | ჰერტა-ბაიერნი | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| 19:30 | 67 | ვერდერი-ჰანზა | 1.4 | 3.9 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.56 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

**28 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 69 | კიოლნი-ბურგჰაუზენი | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| 21:00 | 70 | მიუნხენი 1860-აუე | 1.7 | 3.3 | 4.6 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 21:00 | 71 | ესენი-ტრირი | 2.2 | 3.2 | 2.95 | 1.3 | 1.26 | 1.53 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 72 | ზაარბრიუკენი-დუისბურგი | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 17:00 | 73 | ობერჰაუზენი-ერფურტი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:00 | 74 | ფიურტი-უნტერჰახინგი | 1.55 | 3.6 | 5.3 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| 17:00 | 75 | კარლსრუე-აინტრახტი | 2.65 | 3.1 | 2.4 | 1.42 | 1.25 | 1.35 |
| 17:00 | 76 | ალემანია-ალენი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

**31 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 77 | დინამო-კოტბუსი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |

### იტალია. სერია A

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 82 | კიევო-ლივორნო | 2.1 | 2.9 | 3.6 | 1.21 | 1.32 | 1.6 |
| 22:30 | 85 | პარმა-უდინეზე | 2.5 | 2.9 | 2.9 | 1.34 | 1.34 | 1.45 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 78 | სამპდორია-სიენა | 1.6 | 3.2 | 6.0 | 1.06 | 1.26 | 2.08 |
| 17:00 | 79 | ატალანტა-იუვენტუსი | 7.0 | 3.6 | 1.45 | 2.37 | 1.2 | 1.03 |
| 17:00 | 80 | ბრეშა-ლეჩე | 2.25 | 3.0 | 3.2 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 81 | კალიარი-ფიორენტინა | 2.0 | 3.0 | 3.8 | 1.2 | 1.31 | 1.67 |
| 17:00 | 83 | მილანი-ბოლონია | 1.25 | 4.6 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.15 |
| 22:30 | 84 | პალერმო-ინტერი | 3.3 | 2.9 | 2.2 | 1.54 | 1.32 | 1.25 |
| 17:00 | 86 | რეჯინა-ლაციო | 2.2 | 2.9 | 3.3 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 87 | რომა-მესინა | 1.45 | 3.6 | 7.0 | 1.03 | 1.2 | 2.37 |

### იტალია. სერია B

**28 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 92 | ემპოლი-ვერონა | 2.15 | 2.7 | 3.6 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
| 22:45 | 95 | სალერნიტანა-ტერნანა | 2.2 | 2.8 | 3.3 | 1.23 | 1.32 | 1.51 |

**30 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 89 | არეცო-ტრევიზო | 2.15 | 2.7 | 3.6 | 1.19 | 1.34 | 1.54 |
| 17:00 | 90 | კატანძარო-ტრიესტინა | 2.05 | 2.8 | 3.6 | 1.18 | 1.3 | 1.57 |
| 17:00 | 91 | ჩეზენა-კროტონე | 1.85 | 2.8 | 4.5 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 17:00 | 93 | მოდენა-ალბინოლეფე | 1.55 | 3.1 | 6.3 | 1.03 | 1.24 | 2.07 |
| 17:00 | 94 | პერუჯა-ბარი | 1.65 | 3.0 | 5.8 | 1.06 | 1.28 | 1.97 |
| 17:00 | 96 | ტორინო-ასკოლი | 1.85 | 2.8 | 4.5 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 17:00 | 97 | ვენეცია-პიაჩენცა | 2.85 | 2.8 | 2.45 | 1.41 | 1.31 | 1.3 |
| 17:00 | 98 | ვიჩენცა-კატანია | 1.85 | 2.9 | 4.3 | 1.12 | 1.29 | 1.73 |
| 17:00 | 99 | პესკარა-ჯენოა | 3.3 | 2.8 | 2.2 | 1.51 | 1.32 | 1.23 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**29 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 118 | ატლეტიკო-ალბასეტე | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 124 | სევილია-ბარსელონა | 2.9 | 3.2 | 2.3 | 1.52 | 1.28 | 1.33 |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 119 | ესპანიოლი-ბეტისი | 2.1 | 3.1 | 3.35 | 1.25 | 1.29 | 1.61 |
| 19:00 | 120 | მალიორკა-ხეტაფე | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 21:00 | 121 | ნუმანსია-რეალი | 6.0 | 3.5 | 1.55 | 2.21 | 1.23 | 1.07 |
| 19:00 | 122 | ოსასუნა-დეპორტივო | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 123 | რასინგი-ლევანტე | 2.15 | 3.3 | 3.1 | 1.3 | 1.26 | 1.59 |
| 19:00 | 125 | სოსიედადი-ვილიარეალი | 2.45 | 3.2 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 23:00 | 126 | ვალენსია-ბილბაო | 1.65 | 3.4 | 5.3 | 1.11 | 1.25 | 2.07 |
| 19:00 | 127 | სარაგოსა-მალაგა | 1.8 | 3.3 | 4.2 | 1.16 | 1.25 | 1.84 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**29 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 217 | აკადემიკა-გიმარაეში | 2.5 | 3.2 | 2.6 | 1.4 | 1.27 | 1.43 |
| 23:45 | 221 | მორეირენსე-ბენფიკა | 4.4 | 3.3 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 216 | ეშტორილი-ლეირია | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 218 | ბეირა მარი-ნასიონალი | 2.3 | 3.2 | 2.9 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 219 | ბელენენსეში-რიუ ავე | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 21:30 | 220 | ბოავიშტა-ჟილ ვისენტე | 1.45 | 3.6 | 7.0 | 1.03 | 1.2 | 2.37 |
| 19:00 | 222 | პენაფიელი-მარიტიმუ | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 223 | პორტუ-ბრაგა | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **31 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 224 | სპორტინგი-სეტუბალი | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |

**თურქეთი**

**28 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 242 | კონია-გალათასარაი | 4.8 | 3.6 | 1.6 | 2.05 | 1.2 | 1.1 |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 17:00 | 243 | საკარია-გენჩლერბირლიგი | 2.4 | 3.2 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 17:00 | 244 | დიარბაქირი-ისთანბული | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 17:00 | 245 | ანკარაგიუჯიუ-სამსუნი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 20:00 | 246 | ბეშიქთაში-მალათია | 1.5 | 3.7 | 5.75 | 1.06 | 1.18 | 2.25 |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 15:00 | 247 | გაზიანთეფი-დენიზლი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 15:00 | 248 | ტრაბზონი-კაისერი | 1.2 | 5.4 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.5 |
| 15:00 | 249 | ანკარა-სებათი | 1.4 | 4.1 | 6.2 | 1.04 | 1.14 | 2.46 |
| 20:00 | 250 | ფენერბაჰჩე-რიზე | 1.25 | 4.9 | 9.2 | 1.0 | 1.1 | 3.19 |

**იტალია. თასი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 297 | კალიარი-სამპდორია | 2.2 | 2.9 | 3.2 | 1.25 | 1.3 | 1.52 |
| 23:00 | 298 | ატალანტა-ინტერი | 4.6 | 3.1 | 1.75 | 1.85 | 1.26 | 1.11 |

**ჰოლანდია. თასი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 269 | აიაქსი-ჰერენვენი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |

**საბერძნეთი. თასი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 276 | აეკ-პანათინაიკოსი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |

**ინგლისი ლიგის თასი**

**29 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:30 | 277 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 2.25 | 3.2 | 2.95 | 1.32 | 1.27 | 1.53 |
| 18:00 | 278 | ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 18:00 | 279 | ვესტ ჰემი-შეფილდი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 280 | ევერტონი-სანდერლენდი | 1.55 | 3.5 | 5.9 | 1.07 | 1.22 | 2.19 |
| 18:00 | 281 | ნიუკასლი-ქოვენთრი | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 18:00 | 282 | ნოტინგემი-პიტერბრო | 1.55 | 3.5 | 5.9 | 1.07 | 1.22 | 2.19 |
| 18:00 | 283 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 1.15 | 6.5 | 10.0 | 1.0 | 1.03 | 3.93 |
| 18:00 | 284 | ჩარლტონი-იოვილი | 1.25 | 4.6 | 9.5 | 1.0 | 1.1 | 3.09 |
| 18:00 | 426 | ბლექბერნი-კოლჩესტერი | 1.25 | 5.0 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 427 | ბრენტფორდი-ჰარტლპული | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 18:00 | 428 | ბარნლი-ბორნმუთი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 18:00 | 429 | დერბი-ფულემი | 2.9 | 3.2 | 2.25 | 1.52 | 1.26 | 1.32 |
| 18:00 | 430 | რედინგი-ლესტერი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 20:20 | 431 | მანჩესტერი-მიდლსბრო | 1.4 | 3.8 | 7.5 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 16:45 | 285 | ოლდემი-ბოლტონი | 4.8 | 3.3 | 1.7 | 1.95 | 1.25 | 1.12 |
| 19:00 | 286 | ჩელსი-ბირმინგემი | 1.25 | 4.6 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.15 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ჰოკეი. შვედეთი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 306 | მოდო-ფერიესტადი | 2.0 | 4.2 | 2.2 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 21:00 | 307 | მორა-მალმიო | 1.5 | 4.3 | 3.55 | 1.11 | 1.05 | 1.94 |
| 21:00 | 308 | ლულეო-ტიმრე | 2.2 | 4.2 | 2.05 | 1.44 | 1.06 | 1.37 |
| 21:00 | 309 | იურგორდენი-სიოდერტელიე | 1.75 | 4.3 | 2.6 | 1.24 | 1.04 | 1.62 |
| 21:00 | 310 | ლინჩიოპინგი-ფრიოლუნდა | 2.2 | 4.2 | 2.1 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 21:00 | 311 | ჰვ 71-ბრიუნესი | 1.65 | 4.4 | 3.0 | 1.2 | 1.06 | 1.78 |

**ჰოკეი. ფინეთი**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 326 | ტურკუ-იოკერიტი | 2.2 | 4.2 | 2.25 | 1.44 | 1.11 | 1.46 |
| 19:30 | 327 | სეიპა-ლუკო | 2.55 | 4.3 | 1.85 | 1.6 | 1.07 | 1.29 |
| 19:30 | 328 | ტაპარა-ჰაამეენლინა | 2.4 | 4.2 | 2.0 | 1.52 | 1.09 | 1.35 |
| 19:30 | 329 | ესეტი-კერპეტი | 2.75 | 4.3 | 1.8 | 1.67 | 1.08 | 1.26 |
| 19:30 | 330 | ესპოო-ჰელსინკი | 2.4 | 4.2 | 2.0 | 1.52 | 1.09 | 1.35 |

**ჰოკეი. გერმანია**

**27 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 376 | აუგსბურგი-ფრანკფურტი | 2.2 | 4.3 | 2.15 | 1.45 | 1.08 | 1.43 |
| | | **28 იანვარი** | | | | | | |
| 21:30 | 377 | აისბარენი-კრეფელდი | 1.5 | 4.6 | 3.6 | 1.13 | 1.05 | 2.01 |
| 21:30 | 378 | ჰამბურგი-მანჰაიმი | 2.15 | 4.2 | 2.2 | 1.42 | 1.08 | 1.44 |
| 21:30 | 379 | ჰანოვერი-დიუსელდორფი | 2.2 | 4.3 | 2.15 | 1.45 | 1.08 | 1.43 |
| 21:30 | 380 | იზერლონი-კიოლნი | 2.3 | 4.2 | 2.05 | 1.48 | 1.08 | 1.37 |
| 21:30 | 381 | ნიურნბერგი-ინგოლშტადი | 1.9 | 4.3 | 2.5 | 1.31 | 1.07 | 1.58 |
| 21:30 | 382 | ვოლფსბურგი-კასელი | 1.8 | 4.4 | 2.7 | 1.27 | 1.08 | 1.67 |

**ჰოკეი. შვეიცარია**

**29 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:45 | 390 | ფრიბურგი-ბერნი | 2.2 | 4.2 | 2.1 | 1.44 | 1.07 | 1.39 |
| 21:45 | 391 | ამბრი-ციურიხი | 2.1 | 4.2 | 2.25 | 1.39 | 1.08 | 1.46 |
| 21:45 | 392 | რაპერსვილი-ლოზანა | 1.45 | 4.4 | 4.2 | 1.09 | 1.07 | 2.14 |
| 21:45 | 393 | კლოტენი-სერვეტი | 2.0 | 4.2 | 2.35 | 1.35 | 1.08 | 1.5 |
| 21:45 | 394 | ცუგი-ლანგნაუ | 1.55 | 4.4 | 3.4 | 1.14 | 1.06 | 1.91 |

**ჰოკეი. რუსეთი**

**28 იანვარი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 408 | ნოვოკუზნეცკი-ლადა | 2.3 | 4.5 | 2.0 | 1.52 | 1.06 | 1.38 |
| 13:00 | 409 | ცსკა-ავანგარდი | 2.4 | 4.8 | 1.85 | 1.6 | 1.04 | 1.33 |
| 13:00 | 410 | სიბირი-ს.იულაევი | 1.8 | 4.8 | 2.5 | 1.3 | 1.04 | 1.64 |
| 13:00 | 411 | მოლოტი-ხიმიკი | 7.0 | 6.0 | 1.1 | 3.23 | 1.0 | 1.0 |
| 13:00 | 412 | ნეფტეხიმიკი-დინამო | 3.2 | 4.8 | 1.55 | 1.91 | 1.04 | 1.17 |
| 13:00 | 413 | აკ ბარსი-მაგნიტოგორსკი | 1.5 | 4.6 | 3.5 | 1.13 | 1.04 | 1.98 |

CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

# NBA-ს ლეგენდები

## ჯორჯ მაიკენი

# პირველი გოლიათი

როდესაც ჯეიმს ნეისმიტმა მსოფლიოს კალათბურთი აჩუქა, იმ დროის შვილები ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ ეს თამაში ასე დაატყვევებდა ადამიანებს. მე-19 საუკუნის ბოლოს ამხელა ნიუ იორკში ცათამბჯენი მეტი იყო, ვიდრე ორმეტრიანი კაცი. გააკეთა ნეისმიტმა რზინის ბურთი, დაკიდა კალათი სკოლის ფიზკულტურის დარბაზში და მოსწავლეებს ზურგზე ხელი დაჰკრა, მიდით, ითამაშეთო...

გავიდა ხანი, მთელი ნახევარი საუკუნე, ჯელები მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნდნენ და ქვეყანას გართობა მოუნდა... ამერიკა მაშინ ბეისბოლზე გიჟდებოდა, რომელიც კარგი სანახავი იყო, მაგრამ ხარებს დარბაზში ვერ გახედნი, პროდიუსერების შუქზე კეტის ქნევაც ძნელია, ცოტა არ იყოს... და, ამიტომ კალათბურთი!

კალათბურთის მოყვარულები იმხანად უნივერსიტეტებში თამაშობდნენ. მათ სხვა ძირითადი პროფესია ჰქონდათ და ამ საქმით სერიოზულად ბევრიც არავინ იყო დაკავებული. 1946 წელს 11 გუნდმა დააფუძნა ნბა-ს წინამორბედი პროფესიული საკალათბურთო ლიგა — ბაა, რომლის პირველ მატჩსაც ტორონტოს ჰოკეის დარბაზს „მეიპლ ლიფ გარდენსმა“ უმასპინძლა „ტორონტო ჰასკისა“ და „ნიუ იორკ ნიკერბოკერზს“ შორის. დარბაზის ფასადზე ერთი ასეთი სარეკლამო აფიშა იტყუებოდა უცხო ხილის ტროფეილით: „ვინც ამ ბიჭზე მაღალი აღმოჩნდება, უფასოდ დაუშვებთ თამაშზე“. იქვე ნატურალური ზომით ეხატა პირველი მატჩის ყველაზე მაღალი მონაწილე, „ტორონტოს“ 203-სანტიმეტრიანი ცენტრი ჯორჯ ნოსტრანდი. დარბაზის მფლობელს დიდი ზარალი არ უნახავს — ნოსტრანდზე მაღალი ბევრიც არავინ გამოჩნდა კანადის უდიდეს ქალაქში. ამხელები არც ახლადშექმნილ ლიგაში იყვნენ ბევრნი. ზოგიერთ გუნდს საერთოდ არც ჰყავდა ორმეტრიანი მოთამაშე...

...ის მოგვიანებით გამოჩნდა, ისტორიული მატჩიდან ორი წლის შემდეგ და ძალიან ბევრი რამ შეცვალა ამ თამაშში — ჯორჯ მაიკენი, სათვალეებიანი ინტელიგენტი ბიჭი. არა, რა ბიჭი, გოლიათი არა მხოლოდ იმდროინდელი, არამედ თანამედროვე სტანდარტებითაც — მთელი ორი მეტრი და რვა სანტიმეტრი. მის მოწინააღმდეგეებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა უნდა მოეხერხებინათ ამ მოძრავი „ტელეგრაფის ბოძისთვის“. მაშინ კალათბურთის სტატისტიკოსები მხოლოდ ქულებს ითვლიდნენ და დაფარებები არ აღირიცხებოდა ცალკე სათამაშო კომპონენტად, ამიტომ, ზუსტად არავინ იცის, რამდენი დაფარება უგროვდებოდა მაიკენს საშუალოდ. კალათბურთის მემატიანენი მხოლოდ იმას წერენ, რომ მაიკენის სტუდენტობისას საუნივერსიტეტო ჩემპიონატში სწორედ მის გამო აიკრძალა ნასროლი ბურთის ხელით შეჩერება — უბრალოდ შეუძლებელი იყო ამ მთაკაცის ხელზემოდან ბურთის ჩაგდება და თამაში აზრს კარგავდა. თქმაც ზედმეტია, რომ ის არანაკლებ ორგუნავდა მოწინააღმდეგეებს მათსავე ნახევარზე — ყოველ მატჩში 25 ქულის ჩაგდება მისთვის თაროდან წიგნის ჩამოღებაზე ძნელ საქმეს არ წარმოადგენდა.

ჯორჯ მაიკენის ჩრდილი 1948 წელს დაეცა ნბა-ს. მისი გუნდი „მინეაპოლის ლეიკერსი“ ამ წელიწადს ნაკლებად პრესტიჟული ლიგიდან გადავიდა ნბა-ში და თან მიიყვანა ეს მონსტრი. შვიდი წელი აზანზარებდა ჯორჯი ამერიკულ კალათბურთს. სანამ არ დაბერდა და მუხლები არ აუცახცახდა, მისი ტოლი და შემჩერებელი ვერ გამოინახა. მეტოქე გუნდებს ისღა დარჩენოდათ, თავიანთი შეტევა რაც შეიძლება დიდხანს გაეჭიანურებინათ, რათა ბურთი ხელში არ ჩავარდნოდა ამ საშინელებას. თამაშებიც ასეთი ანგარიშით მთავრდებოდა — 25:21, 19:18... ასოციაციის შეფები იძულებულები გახდნენ, შეტევის დრო შეეზღუდათ და „ლეიკერსის“ ზოზინა მეტოქეები ასე აეჩქარებინათ. 1954 წლიდან შეტევის ვადა 24 წამამდე განისაზღვრა და როგორც შემდეგ გამოჩნდა, სწორედ ამ ცვლილებამ ააჩქარა და გაალამაზა კალათბურთი.

50-იანი წლების პირველ ნახევარში ჯორჯ მაიკენი ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად იქცა მთელს შეერთებულ შტატებში. პოპულარობაზე და დიდებაზე უარი ბევრს არ უთქვამს, მაგრამ ჩვენი გოლიათი თავისი სიმაღლის გადამკიდე ხშირად უხერხულ სიტუაციაში ვარდებოდა. შესაფერისი სიდიდის საწოლი და გემრიელი ძილი მისთვის ყოველთვის პრობლემა იყო. ერთხელ ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის“ მთავარ შესასვლელში ასეთი აფიშა დახვდა. „ნიუ იორკ ნიკერბოკერზი VS ჯორჯ მაიკენი“ გულში ალბათ ეამა, მაგრამ გასახდელში შესულს თანაგუნდელები სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილები დაუხვდნენ. შენ თუ მთელ გუნდად ლირხარ, ჩვენ რაღა საჭირონი ვართ, გადი და მარტო ეთამაშე „ნიუ იორკსო“.



ჯორჯ მაიკენი 1956 წელს 32 წლისა გამოეთხოვა მისგან დატერორებულ ნბა-ს, თან წაიღო ხუთი საჩემპიონო ბეჭედი („ლეიკერსი“ 1949, 50, 52, 53 და 54 წლებში აჩემპიონა) და დატოვა დიდი სახელი.

რაღა თქმა უნდა, ჯორჯ მაიკენს დიდების დარბაზში გამორჩეული ადგილი უკავია. მართალია, დიაბეტმა მარჯვენა ფეხი წაართვა და სავარძელში მჯდომი 80 წლის ბერიკაცი ძველებურად თვალუწვდენელი აღარ ჩანს, მაგრამ მნახველები არანაკლები გოლიათების გარემოცვაში მოქცეული ამ ბუმბერაზისკენ თითს იშვერენ და აღტაცებულები ამბობენ — „აი, ჯორჯ მაიკენი, ნბა-ს პირველი ლეგენდა!“

**ირაკლი ფირაშვილი**



# ორი კარლის ამბავი

## ჯორჯს დენვერი ეპატიჟება



„დენვერ ნაგიტსის“ ქართველ ფორვარდ ნიკა ცქიტიშვილს მალე იქნებ ახალი შანსი მიეცეს. კლუბის საქმეთგამრიგე კიკი ვანდევეი თავისი გუნდისთვის ახალ თავკაცს ეძებს და მგონი, იპოვა კიდეც — ჯორჯ კარლი, ცნობილი და საკმაოდ წარმატებული სპეციალისტი. ჯერ ვერ მოგახსენებთ, რა თვალით შეხედავს კარლი 216-სანტიმეტრიან ჩვენებურ თავდამსხმელს, მაგრამ დიდი შანსია, ვანდევეიმ სწორედ ის მიიწვიოს.

ვანდევეი და კარლი სამშაბათს ჩიკაგოში შეხვდნენ ერთმანეთს და თუმც კონკრეტულად არაფერზე შეთანხმებულან, ისე ჩანს, საერთო ენას და საქმეს გამონახავენ.

ჯორჯ კარლს ოთხ გუნდში უმუშავია — „კლივლენდში“, „გოლდენ სტეიტში“, „სიეტლსა“ და „მილუოკიში“ და ბოლო ორი გვარიანადაც წაუწევია წინ, მაგრამ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკის ნაკრები მარცხებს ვერ აარიდა, მეექვსე ადგილს ვერ აცილა და მას შემდეგ საქმე უკან წაუვიდა. 2003 წლის შემდეგ კარლმა მწვრთნელობა მიატოვა და სპორტულ ტელეარხ ESPN-ის სტუდიაში საკალათბურთო მატჩების მიმომხილველად გადაბარგდა. იქ უთქვამს, „დენვერ ნაგიტსი“ ახლა ძალიან ბევრს კი აგებს, მაგრამ ეს მაინც ძლიერი გუნდია და თუ მუშაობას ვისურვებდი, სწორედ იქო. ამის გამგონე ვანდევეიც მის მიწვევაზე სერიოზულად დაფიქრებულა.

თუ კარლმა თანხმობა ბრძანა, ამ სეზონში ის „დენვერის“ მესამე თავკაცი შეიქნება. შეგახსენებთ: „ნაგიტსმა“ სეზონი ჯეფ ბზდელიკის მეთაურობით დაიწყო, მაგრამ საწყისი 28 შეხვედრიდან 15-ის წაგების შემდეგ ვანდევეიმ ბზდელიკი მოხსნა და გუნდი დროებით ჩააბარა მის ასისტენტ მაიკლ კუპერს, რომელსაც ასევე არ უმართლებს — მის ხელში „ოქროს ზოდებმა“ 13 მატჩიდან აგერ, მე-9 დათმეს.

## მელოუნი პენსიაზე ფიქრობს



საინტერესოა, სად არის და რას საქმიანობს კარლ მელოუნი? ნბა-ს ბევრი კოლორიტი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ კი ირიცხება, მაგრამ რაც სეზონი დაიწყო, ის არათუ „ლეიკერსის“ მაისურით, არამედ საერთოდ გუნდთან ერთად არავის უნახავს. ის ლოს ანჯელესში 2003 წლის ზაფხულში იმ იმედით მივიდა, რომ შაკილ ონილის და კობი ბრაიანტის დახმარებით მაინც მოიპოვებდა ჩემპიონის სანუკვარ ოქროს ბეჭედს, მაგრამ 2004 წელს „ლეიკერსმა“ „დეტროიტთან“ ფინალი რომ წააგო, გუნდში წყალი აიმღვრა და ყველაფერი შაკილ ონილის წასვლით და საჩემპიონო გუნდის დაშლით დასრულდა. ამას მოჰყვა კობი ბრაიანტის მკვახე გამონათქვამები მელოუნის მისამართით და ეს ძველი მეომარიც საერთოდ გაეცალა „ლეიკერსს“, თუმც კი იქ კონტრაქტის მიხედვით კიდევ ერთი სეზონი უნდა ეთამაშა.

ახლა, როგორც მისი აგენტი დუაიტ მენლი ამბობს, კარლ მელოუნი თავის ვილაში, ნიუპორტ ბიჩშია და სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობს კალათბურთიდან წასვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სერიოზული გუნდები (თუნდაც „სან ანტონიო“) იწვევენ.

და მაინც, 41 წლის კარლ მელოუნს საკმარისზე მეტი მიზეზი აქვს, პენსიაზე გასვლა თუნდაც ერთი წლით გადადოს და კიდევ ერთხელ შეუტიოს ჩემპიონობას. „სან ანტონიოსთან“ ერთად ეს მწვერვალი ნამდვილად არ ჩანს დაულაშქრავი. ამას გარდა, ბებერ კუნძების გროვას სულ 1459 ქულა აკლია ქარიმ აბდულ-ჯაბარის უნიკალურ რეკორდამდე — კარიერის განმავლობაში დაგროვილ 38 387 ქულამდე, რაც მელოუნისთვის ერთი სრულფასოვან სეზონად ღირს.

**კოტე ყორშია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

26 იანვარი

**ჩიკაგო 111:107 დენვერი**
ჩიკაგო: ჰაინრიხი (23), გორდონი (18), კარი (16)
დენვერი: ენტონი (32), ნენე (19)
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**შარლოტი 92:97 ბოსტონი**
შარლოტი: ოკაფორი (20)
ბოსტონი: პირსი (33)

**მემფისი 95:83 ორლანდო**
მემფისი: სვიფტი (18)
ორლანდო: ფრენსისი (18)

**საკრამენტო 113:93 ნიუ ჯერსი**
საკრამენტო: მილერი (31), სტოიაკოვიჩი (25)
ნიუ ჯერსი: კარტერი (23)

**ნიუ იორკი 118:133 ფინიქსი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (44)
ფინიქსი: სტუდემაიერი (29)

**ლეიკერსი 93:104 სიეტლი**
ლეიკერსი: ოდომი (19), ულტონი (19)
სიეტლი: რადმანოვიჩი (26), ალენი (25)



# ფედერაცია: ეგეთი კანდიდატი ბევრი გვყავს

## ნაკრებს მწვრთნელი მარტში ეყოლება

*დღეს საქართველოს მე-14 ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. ტრადიციულად ამ ტურსაც ახლავს ცენტრალური შეხვედრა, რომლის წინასამატჩო პრესკონფერენციაც გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გაიმართა. ტურის მთავარ მატჩად თსუ — „თუჯია“ მონათლული და სანამ ამ გუნდების მწვრთნელები მოახლოვებული თამაშის ირგვლივ ილაპარაკებდნენ, კალათბურთის ფედერაციის პრესატაშე ზურაბ თალაკვაძემ განცხადება გააკეთა. საქმე ეხება ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთ სავარაუდო კანდიდატ ჰერბერტ გორდონს, რომელიც ამჟამად პარიზულ „რასინგს“ წვრთნის...*

„დღეს გაზეთ „მთავარ სპორტში“ დაიწერა, რომ თითქოს ყველაფერი შეთანხმებულია და „რასინგის“ მთავარი მწვრთნელი ჰერბერტ გორდონი საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებს — თქვა ფედერაციის პრესატაშემ — მინდა, გითხრათ, რომ ბატონი გორდონი ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატია იმ თხუთმეტი სპეციალისტიდან, რომელთაგან ჩვენი ფედერაცია ნაკრების მომავალ მწვრთნელს შეარჩევს.

გორდონის კანდიდატურა მსოფლიოში ცნობილმა მენეჯერმა მარკ ფლეიშერმა შემოგვთავაზა და მასთან ჯერ მოლაპარაკებაც კი არ დაწყებულა. ფედერაცია ეძებს ხელსაყრელ კანდიდატს და სავარაუდოდ მარტის დასაწყისში ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება, რომელსაც საკმაოდ ცნობილი სპეციალისტის სახელი ექნება საკალათბურთო სამყაროში.“

მაშ ასე, სანამ ფედერაცია თხუთმეტეულიდან ღირსეულს შეარჩევს და მასთან მოლაპარაკებას წამოიწყებს, შიდაჩემპიონატი ლამის თავზე გვენგრევა — რამდენიმე გუნდი ჯერაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა და თუ დაიშალა, ისედაც ბეჩავი ჩემპიონატი უფრო გაუფერულდება.

სწორედ დღევანდელი ცენტრალური მატჩის მონაწილეებს ენგრევათ გუნდი თავზე, რაკი დაპირებებს ბოლო არ უჩანს, მოთამაშეთა მოთმინების ფიალაც ნელ-ნელა ივსება.

რუსთავის „თუჯით“ დავიწყოთ, რომლის წევრებსაც ხელფასი ლამის წელიწადნახევარია, არ აუღიათ...

**ბადრი კიკვიძე, „თუჯის“ მეორე მწვრთნელი:** „მთავარი მწვრთნელი ოთარ ხმელიძე პრესკონფერენციაზე ვერ მოვიდა, რადგან ქვემო ქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილს ხვდება და იქნებ ამის შემდეგ მაინც გვეშველოს. ჯერ არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ გუბერნატორმა მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა და ჩვენც ამის იმედი გვაქვს.

**— კონკრეტულად რაზე იქნება ლაპარაკი, რას ითხოვთ და რას მოელით?**

— ჯერჯერობით მხოლოდ მინიმუმზე, შეპირებული ხელფასების დარიგებაზეა ლაპარაკი და ესეც თუ მოგვცეს, მადლობელი ვიქნებით.

*ახლა თსუ-ს თავკაცისაც მოვისმინოთ,* ***მამუკა ტურაშვილი*** *რუსთაველებზე უიმედოდაა...*

— სახელმწიფო უნივერსიტეტს თვეზე მეტია, ახალი ხელმძღვანელი ჰყავს და საშველი ჯერაც არ ჩანს. დაპირებები და დაპირებები, რეალურად კი არაფერი ხდება. ახლა მთელი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მოსკოვში, ემგეუ-ს 250 წლის იუბილეზეა და ჩვენთვის არ სცალია. რუსთაველებს ჩვენზე უკეთ აქვთ საქმე — ისინი ვინმეს მაინც ხვდებიან, თსუ კი სრულიად უყურადღებოდაა, გაუთავებელი დაპირებების ამარა. ხვალინდელ მატჩზეც ვერაფერს გეტყვით, „თუჯთან“ მოვიგებთ თუ წავაგებთ, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გუნდი ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა და კონკრეტული მატჩისთვის მოსამზადებლად განწყობა არ გვაქვს.

*თსუ-ს არ ულხინდა არც მაშინ, როცა თასის გათამაშების პირველ ეტაპზე სამიდან ორი მატჩი მოიგო და ასეთი მონდომებისთვის ტურაშვილმა თავის შეგირდებს დიდი მადლობა გადაუხადა...*

— მე არ მეგონა, თუ ბიჭები ასე მოინდომებდნენ და ორი სერიოზული მეტოქის დამარცხებას შეძლებდნენ. პირადად მე რომ მოთამაშე ვიყო, ამდენს არ მოვითმენდი და ვერც ვერავინ შემედავებოდა. თსუ-ს მოთამაშეები კი უდიდეს მოთმინებას იჩენენ და ყოველ მატჩში ბოლომდე იბრძვიან.

*სადღეისო მატჩისთვის ორივე გუნდი მოისაკლისებს მოთამაშეებს, თუმც სტუდენტებს უფრო უჭირთ...*

**მამუკა ტურაშვილი:** „არ გვეყოლება ნუგზარ კოკოლიშვილი, რომელიც საზღვარგარეთაა და შეიძლება კიდევ რამდენიმე კალათბურთელმაც არ ითამაშოს. ნიკა ვეფხვაძე ტრავმირებულია და არც გიორგი მარხვაშვილს უვარჯიშია ბოლო დღეებში. ირაკლი მაისურაძეს კი მხარი სტკივა. არ ვიცი, ამათგან ხვალ ვინ იქნება მზად — იქნებ ყველა, ანაც არც ერთი.

რუსთაველებს კი მხოლოდ არჩილ ჟღენტი დააკლდებათ, რომელიც თასზე ატეხილი აყალმაყალისთვის ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია. ამის მიუხედავად „თუჯის“ სათადარიგო მწვრთნელი ბადრი კიკვიძე მაინც იმედიანადაა და ამბობს, თბილისში გამარჯვებისთვის ჩამოვალთო.

*ბოლოს მოთამაშეებსაც მოვუსმინოთ.*

**მიშა ფანჩულიძე,** თსუ-ს **ფორვარდი:** „რუსთაველებს არჩილ ჟღენტი კი აკლიათ, მაგრამ მაინც სახიფათონი არიან. „თუჯს“ საკმაოდ დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს და რომელიმეს გამორჩევა ძნელია. თუმც ალბათ ყველაზე მეტად ლევან ტყეშელაშვილზე გავამახვილებთ ყურადღებას, რადგან მისი ამპლუის მოთამაშე, ნუგზარ კოკოლიშვილი არ გვეყოლება.“

**ლევან ჩაჩუა, „თუჯის“ უკანახაზელი:** „რთული მატჩი გველის, მეტოქეს არაერთი გამოცდილი მოთამაშე ჰყავს და საერთოდ, თსუ საკმაოდ სიმპათიური გუნდია. სტუდენტებს არ ეყოლებათ ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ კოკოლიშვილი, თუმც მათ კიდეთ ჰყავთ სოლიდური მოთამაშეები, რომლებიც არაფერს დათმობენ.“

**ირაკლი პერტაია**



# ირანულ-ქართული ამბავი

## ორი ოქრო და გადასაგდები ბირთვი

თეირანში მიმდინარე აზიის ქვეყნებისა და ისლამური დედაქალაქების ქალთა თამაშებზე გუშინ მეორე ქართველი მძლეოსანი ჩაერთო საქმეში და, პირველის დარად, ისიც ოქრომდე მივიდა.

„საქართველოს საუკეთესო სამმხტომელი იულია დუბინა 13,41 მეტრზე გადახტა, რითაც თამაშებში მონაწილე ჩვიდმეტივე აზიური ქვეყნის სამმხტომელი უკან მოიტოვა, იჩემპიონა, თან დახურულ დარბაზში საქართველოს რეკორდიც დაამყარა“ — გვითხრა მძლეოსნობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მაია აზარაშვილმა.

ჩადროსანთა თამაშების ჩამთავრების შემდეგ ირანის მთავარქალაქში კაცთა ასეთივე აზიურ-ისლამური თამაშები გაჩაღდება და საქართველოს მძლეოსანი იქაც ეყოლება. მამუკა ტულუში უკვე თეირანშია, თუმც ბირთვს ათიოდ დღეში, 6 თებერვალს გადაავლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



**მსოფლიოს XIX ჩემპიონატი. ვაჟები**

**ტუნისი. 23 იანვარი – 6 თებერვალი**

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| საბერძნეთი 20:19 საფრანგეთი | რუსეთი 38:11 ქუვეითი |
| დანია 47:19 ანგოლა | ჩეხეთი 29:29 ალჟირი |
| ტუნისი 42:20 კანადა | სლოვენია 34:33 ისლანდია |

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 2 | 0 | 0 | 81:43 | 4 |
| დანია | 2 | 0 | 0 | 74:42 | 4 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 1 | 63:36 | 2 |
| საბერძნეთი | 1 | 0 | 1 | 43:46 | 2 |
| ანგოლა | 0 | 0 | 2 | 42:86 | 0 |
| კანადა | 0 | 0 | 2 | 36:86 | 0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 66:33 | 4 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 68:50 | 4 |
| ჩეხეთი | 0 | 2 | 0 | 63:63 | 2 |
| ისლანდია | 0 | 1 | 1 | 67:68 | 1 |
| ალჟირი | 0 | 1 | 1 | 51:57 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 2 | 28:72 | 0 |

# ჩემპიონები დაბერდნენ

**ესეც პირველი** და თანაც ისეთი სენსაცია, რომლის მაგვარიც ალბათ მთელ ჩემპიონატში აღარ მოხდება. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საფრანგეთი საშუალოძალიანი საბერძნეთის ლუკმა გახდა. არადა, მატჩის წინ ბუქმეიკერები ფრანგებს სულ ცოტა, რვა ბურთიან მოგებას უწინასწარმეტყველებდნენ, რეალურად კი...

ანგარიში გაბერძნებულმა იუგოსლაველმა საშა ჟივულოვიჩმა პირველივე შეტევით გახსნა. სედრიკ ბურდემ ზუსტი სროლით უპასუხა, შემდეგ ისევ ბერძნები გავიდნენ წინ, მეტოქემ გაათანაბრა. ასე გაგრძელდა შუა ტაიმამდე, მერე კი ვეტერანმა ჩემპიონმა ჟოელ აბატიმ პირველად დააწინაურა თავისიანები, ხოლო შესვენებაზე ფრანგები ორგოლიანი უპირატესობით წავიდნენ — 11:9.

მეორე ნახევრის მეათე წუთისთვის გრეგორ ანკეტილმა, მიშელ გიგუმ და უბერებელმა კაპიტანმა ჯექსონ რიჩარდსონმა საფრანგეთი ხუთი ბურთით გაიყვანეს წინ — 15:10, მერე 17:12. საფინალო სასტვენამდე ცხრა წუთით ადრე ექსჩემპიონები ოთხ გოლს იგებდნენ — 18:14, მაგრამ დარჩენილი დრო მათთვის ჯოჯოხეთად იქცა. ვერაფრით მოახერხეს დიმიტრიოს კაფტატოსის კარის დალაშქვრა, დაცვაშიც უამრავი შეცდომა დაუშვეს და გამხნევებულმა ელინელებმა ნიკოლაოს სამარასის და ალექსანდროს ალვანოსის მიზნიანი ტყორცნებით ბოლო წუთზე დაწინაურება მოახერხეს — 19:18. 12 წამით ადრე ანკეტილმა ისევ გაათანაბრა, ხოლო ბოლოს — წინა წამზე ალვანოსმა სწრაფი გარღვევის შემდეგ დაბალ კუთხეში ზუსტი სროლით საბერძნეთის ნაკრებს თავის ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება მოაპოვებინა.

ღსანიშნავია, რომ ეს დრამატული მატჩი გოლების რაოდენობით



REUTERS

**ბერძნები ზეისტორიულმა მოგებამ ლამის გააგიჟა**

უმწირესი იყო — 39 ბურთი არცთუ იშვიათად ერთ გუნდს გააქვს ხოლმე.

დამარცხდა ყოფილი ჩვენი თანამემამულე როლანდ ერაძის ისლანდია. სლოვენიელებთან კუნძულელთა დაპირისპირება გამორჩეულად დაძაბული და უხეში გამოდგა. მეხუთე წუთიდან მოყოლებული ერთი-ორი ბურთით ისლანდიელები იყვნენ წინ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს. ორი წუთით ადრე ვიდ კავტიჩნიკმა მარჯვენა კუთხიდან ოსტატური ნასროლით სლოვენია დააწინაურა — 33:32. ოცი წამიღა რჩებოდა, როცა არნორ ატლასონმა შვიდმეტრიანიდან თანაფარდობა აღადგინა, მაგრამ სლოვენიელებმა მოასწრეს შედეგიანი შეტევის განხორციელება — ექსბელარუსმა სერგეი რუტენკამ ერაძეს შორი მანძილიდან გაუტანა.

გამარჯვებულთაგან ათი გოლით ყველაზე შედეგიანი ზორან ილიჩიჩი იყო, ხოლო ისლანდიელთა შორის საუკეთესომ ალექსანდრ პეტერსონმა შვიდჯერ გაიტანა.

მეტოქეებმა ცხრა-ცხრა ორწუთიანი გაძევებით გამოიჩინეს თავი, ხოლო სლოვენიელ ეროს ზორმანს მსაჯებმა წითელი ბარათი აუფრიალეს.

**გია ახალაძე**

# ავსტრალიის ღია პირველობა 2005

## მელბურნი მაგარსაფარი

# ლეიტონი ჩვენს გულებში

## ჰიუიტმა ავსტრალიას ოცნება აჩუქა

### მეოთხედფინალი

**კაცები**

**ენდი როდიკი (2, აშშ)** — ნიკოლაი დავიდენკო (26, რუსეთი) 6:3 7:5 4:1 დავიდენკომ შეწყვიტა; **ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია)** — დავიდ ნალბანდიანი (9, არგენტინა) 6:3 6:2 1:6 3:6 10:8

**ქალები**

**ლინდსი დევენპორტი (1, აშშ)** — ალიშა მოლიკი (10, ავსტრალია) 6:4 4:6 9:7; **ნატალი დეში (19, საფრანგეთი)** — პატი შნიდერი (12, შვეიცარია) 5:7, 6:1, 7:5

**მასპინძელთათვის** ეს დიდი დაძაბული და სამრავალუემოცნო დღე იმით გასრულდა, რომ ქალთა შორის უკვე ველარ, მაგრამ კაცთა მხარეზე კი საუკუნის მეოთხედზე მეტხანს მოუგებელი შინაური სლემტურნირის დაბრუნების იმედი ოზებს კვლავაც ცოცხალი დაურჩათ.

ლეიტონ ჰიუიტს ამ ტურნირზე არაპირველად მოუხდა მთელი თავისი ჯიგრისა და სიმამაცის მოხმობა, რათა ბარაქიანად მობურთალი დავიდ ნალბანდიანის ოთხ საათს ხუთი წუთით გადაცილებული წინააღმდეგობა გაეტეხა. აი, ამქრის პირველისან ლინდსი დევენპორტთან ტოლსწორად მოჰაექრე ალიშა მოლიკს კი მატჩის მიწურულს ზუსტად ჩაბიქენებული ეისი არ ჩაუთვალეს და ეგებ მისი მარცხი რაღაც თვალსაზრისით ამანაც დაბრალდეს.

ისე მსაჯთა შეცდომები უფრო უხვი სწორედ ჰიუიტისა და ნალბანდიანის შეხლაში იყო. ხაზის მსაჯებმა მიქარვები პირველი გეიმებიდანვე დაიწყეს და ამან — ლეიტონის საფირმო ბრანწ-შეყივლებასთან ერთად — არგენტინელზე დამთრგუნველად იმოქმედა. მან პირველი ორი სეტი ჰალალად ჩააბარა, თუმცა თვალნათლივ ჩანდა, რომ არც ის უნდა ყოფილიყო ასე უილაჯოდ ჩამჯლავებელი და არც ჰიუიტი — მეხვედრის ასე დასტურ და უბრძოლველად მიმთვლელი. კისკას ოზბიჭზე ჯერაც მოქმედებს ის გარემოება, რომ მასში ამჟამად მთელი ერის სლემიმედია განივთებული და საქმეში ჩახედული თვალი მის მიერ ამ იოლად მოგებულ სეტებშიც შეამჩნევდა, რომ ის მაინც ძალიან ნერვიულობდა.

მესამე სეტში ნალბანდიანი დამშვიდდა და ისე ლაღად ათამაშდა, როგორც ჩოგანეწოფება კიდეც, ჰიუიტის ნერვიულობამ კი მყისვე აპოგეას უწია. ყველაფერ ამას კვლავაც თან სდევდა ხაზის მსაჯთა მიქარვანი, რასაც მთავარი მსაჯის, მოჰამედ ლაჰიანის არადამაჯერებელი სჯაც ზედ ერთვოდა. მეოთხე სეტის ერთ-ერთ გეიმში მსაჯთა ბითურობით გახელებულმა ჰიუიტმა ლაჰიანს „ხარის ნეხვიც" კი უწოდა, ხოლო მეხუთე სეტის მე-16 გეიმში, როცა ლაჰიანმა მორიგი იაღლიში დაუშვა, ოზმა ის პირდაპირ „იდიოტად" მოიხსენია.

თუმცა ამგვარი საზიზღარი მსაჯობის ფონზეც კი ბიჭებმა მაინც ხარისხიანად იბურთავეს და ხამუშხამუშ ბრწყინვალე გათამაშებებიც დაბლანდეს.

ყველაფერი კი 18-გეიმა მეხუთე სეტში გადაწყდა, რომლის ბოლოსკენაც არგენტინელს გამარჯვებისგან სამ მომენტში ორ-ორი ქულაღა აშორებდა, მაგრამ მაინც უფრო შემართულმა და მოტივირებულმა 23 წლის ოზმა იმარჯვა.

წინა წრეში რაფაელ ნადალის ძლევის შემდეგ ეს ჰიუიტის ზედიზედ მეორე ხუთსეტიანი განდაგანა იყო. მან პირველად გაატანა მშობლიური სლემტურნირის ნახევარფინალში და პატრიკ რაფტერის (ანუ 2001 წლის) შემდეგ ამ სტადიამდე გამღწევი პირველი ავსტრალიელი გახდა.

იქ კი მას ამერიკელი ენდი როდიკი შეხვდება, რომელმაც გუშინ მორიგ უფერულ შეხლაში სძლია რუს ნიკოლაი დავიდენკოს. დავიდენკომ, ვინაც თავის გზაზე ტიმ ჰენმანი (7) და გილერმო კანიასი (12) დაიმორჩილა, ენდიბოი რეალურად მხოლოდ ერთხელ, მეორე სეტის მეათე გეიმისას შეაწუხა, როცა 4:5 უგებდა და მოწოდების გატეხვით „კინალამ" სეტიც აართვა. მაგრამ, რაკიღა კინაღამ არ ითვლება, როდიკმა საქმე მისთვის სასურველ კალაპოტში ჩააბრუნა და ვინძლო არც ბოლომდე გასჭირვებოდა, რუსს შეხვედრა ჰაერის უკმარისობის გამო რომ არ შეეწყვიტა.

შეგახსენებთ, რომ როდიკს მელბურნულ ნახევარფინალში შარშანწინაც უთამაშია, თუმცა მაშინ ის გაცილებით უფრო სანახაობრივ, უფრო ჭაბუკურ და ამდენად უფრო რომანტიკულ ჩოგბურთს თამაშობდა. ახლა კი გამარჯვებათა უემოციოდ მჭედელი კაცია და თანაც ამ კვირებში კორტზე იმდენად ცოტა ხანი დაჰყო, რომ ზედიზედ ორჯერ ნახუთსეტარ ჰიუიტს მისი მოდრეკა ძალიან გაუჭირდება.

თუმცა ოზბიჭის მხარეზე იქნება სტატისტიკა — მათი აქამომდელი ხუთი შეხლიდან მას ოთხჯერ მოუგია, ასევე „მელბურნ პარკში" შეკრებილი მილეთის ყიჟინა და, რაც მთავარია, მისივე შინაგანი ნაპერწკლოვნება.

რაც შეეხებათ ქალებს, ლინდსი დევენპორტის სანახევარფინალო პერსპექტივებს მეორე სეტის მიწურულამდე არაფერი დამუქრებია. მაგრამ ამ სეტის მეათე გეიმში მან მიჯრით ორჯერ უნებლიედ მიჰქარა, ორჯერაც ორმაგი შეცდომა დაუშვა და მეტოქეს ჯერ თავისი გეიმი მიართვა, მერე კი — სეტიც. გადამწყვეტ სეტში კი აიწონა-დაიწონა ბურთაობა წავიდა, სადაც ხან ახლახანს გაოცდაოთხწლისებული მოლიკი ედავებოდა გალმა ოთხი წლით უფროს მეტოქეს, ხანაც ეს უკანასკნელი ახერხებდასავით ჩარხის სათავისოდ შეტრიალებას. მერე კი საქმეში მსაჯის ზემოთ აღნიშნული შეცდომაც ჩაერთო და ტორტისთვის კრემის გადასხმა უკვე აღარც ლინდსის გასჭირვებია. ნამატჩევს ის ჰალალად ამბობდა, დღეს კი ნაღდად ვიგრძენი, რომ ყველაფერი ამისთვის უკვე აღარც ისეთი წიწკვი ვარო. ქალთა ამქრის ყველაზე მსწრაფლ პროგრესირებადი ალიშა მსაჯის შეცდომას არად აგდებდა და საჩოგბურთო შეხლების ბედს თითო-ოთითო ქულა არა სწყვეტსო, დასძენდა. თუმცა ამ ამბავმა გუშინ მაინც უდიდესი რეზონანსი გამოიწვია და მყისვე მრავალი აზრი გამოითქვა იმის სასარგებლოდ, რომ 21-ე საუკუნეში აღარ ეგების თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევათა უგულებელყოფა და მხოლოდ ადამიანის თვალების იმედად დარჩენა. ამ აზრებს კიდევ უფრო მეტი საკვები მოგვიანებით მიეცა, როცა — როგორც ზემოთ მოგიყევით — ჰიუიტისა და ნალბანდიანის შეხლისას მსაჯებმა სულაც არნახულად ჩაიმასქნეს.

ტურნირის 2000 წლის ჩემპიონი ნახევარფინალში შეხვდება ფრანგ ნატალი დეშის, ვინაც ასევე დაძაბულ მატჩში სძლია შარშანდელ ნახევარფინალისტ პატი შნიდერს და ცხოვრებაში პირველად უწია დიდი მუზარადის რაგინდარა ტურნირის ბოლო ოთხეულს.

**ლევან ძელაურაძე**



REUTERS მელბურნიდან



REUTERS მელბურნიდან

ლინდსი დევენპორტი



REUTERS მელბურნიდან

ნატალი დეში



REUTERS მელბურნიდან

ენდი როდიკი

# შარად ქცეული კონტრაქტები



გუო ჯინგჯინგი



ტიან ლიანგი

**ჩინელ** ოლიმპიურ ჩემპიონებს წყალში ხტომაში ტიან ლიანგსა და გუო ჯინგჯინგს მართლაც წყალში გადასახტომად გახდენიათ საქმე.

საქმე ისაა, რომ ისინი თავიანთი ქვეყნის ნაკრებიდან გარიცხეს მაშინ, როცა ჩინეთში ჯერ კიდევ ნომერ 1 სპორტსმენებად ითვლებიან ამ სახეობაში.

როგორც ჩინეთის პრესა იუწყება, ისინი იმის გამო დასაჯეს, რომ ოფიციალური პირებისგან უნებართვოდ კომერციული კონტრაქტები გააფორმეს. თუმცა, იმაზე არაფერს ამბობენ, თუ ამ კონტრაქტით რომელი წესი დაარღვიეს ტიან ლიანგმა და გუო ჯინგჯინგმა. არც იმაზე იუწყებიან, თუ რამდენი ხნით იქნება მიხურული მათთვის ნაკრების კარი.

# ჩინეთი მადაზე მოვიდა

**მას მერე,** რაც პეკინმა 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება მოიპოვა, ჩინეთს სხვა ამგვარ ასპარეზობათა მასპინძლობის საღერღელი უფრო აეშალა. ხარბინმა, რომელიც ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სურვილი გამოთქვა, მაგრამ ოლიმპიური კომიტეტისგან მან მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, თუმცა ფარ-ხმალი არ დაჰყარა, 2010 წლისთვის ოლიმპიადის ნაცვლად უნივერსიადის მასპინძლობის უფლება მოიპოვა და ახლა აპირებს 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ხელში ჩაგდებასაც. ამ დროისთვის ჩინეთს უკვე ექნება ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის გამოცდილება. ამასთან, უშუალოდ ხარბინს ექნება ზამთრის უნივერსიადის მასპინძლობის გამოცდილებაც.

„ზამთრის ოლიმპიური თამაშების მისაღებად ჩვენი პროექტის წარმატება ძალიან იქნება დამოკიდებული ზამთრის უნივერსიადის მასპინძლობაზე, რაც სამომავლოდ დიდად დაგვეხმარება“ — თქვა საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# მრთი ავარიის საიდუმლო
## შაბათს ათენში საქმეს გაარჩევენ





კოსტას კენტერისი

ამ უქმეებზე ბერძენი მძლეოსნები, კატერინა ტანოუ და კოსტას კენტერისი, იაafის მიერ მათთვის მისჯილი წინასწარი ორწლიანი დისკვალიფიკაციის წინააღმდეგ დამოუკიდებელ ტრიბუნალში იბრძოლებენ. შეგახსენებთ, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ წყვილს ათენის ოლიმპიადის წინ დოპინგ-ჩავარდნის გამო გამოუტანა ასეთი უსიამოვნო ვერდიქტი



კატერინა ტანოუ

**კენტერისის** ადვოკატმა, გრეგორი იოანიდისმა BBC სპორტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „ჩემი კლიენტის წინააღმდეგ წაყენებული ორივე ბრალდება უშინაარსო და ულოგიკოა. გარდა ამისა, არსებობს პირდაპირი ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კოსტას კენტერისი არც მეტი, არც ნაკლები, არასწორად გაასამართლეს და კიდევ, შემიძლია მძლეოსნობის დიდმოხელეთა დანაშაულება წესებისადმი არასწორ მიდგომაში, ელემენტარულ არაკორექტულობაშიც.“

ცნობისთვის, ვექილი იოანიდისი ბუკინგემის უნივერსიტეტის ლექტორია და კარგად მოეხსენება ის, რასაც მალიმალ უმეორებს სტუდენტებს:

„სამართლისა და იურისპრუდენციის ერთ-ერთი ძირითადი კანონი უდანაშაულობის პრეზუმპციაა. სანამ დანაშაული არ დამტკიცდება, ადამიანი უდანაშაულოა და ამ შემთხვევაში იააფ-მა სწორედ ეს კანონი უგულებელჰყო“.

აღსანიშნავია, რომ შეგირდების მსგავსად ორი წლითაა დასჯილი წყვილის მწვრთნელი, ფრიად სკანდალური ბუნების ადამიანი ხრისტოს ცეკოსიც.

კოსტას კენტერისი გახლავთ სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში, ხოლო მისი მეგობარი კატერინა ტანოუ იმავე თამაშებზე 100 მეტრზე რბენაში გახდა ვერცხლის მედალოსანი.

ახლა მოდით, უფრო ზუსტად გავიხსენოთ, რა მოხდა შარშანდელ 18 აგვისტოს. მოხდა ის, რომ დოპინგ კონტროლის დღეს, შესაბამისი ლაბორატორიის თანამშრომლებმა ოლიმპიურ სოფელში წყვილი ვერ აღმოაჩინეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ ტანოუ და კენტერისი მოტოციკლით ავარიაში მოყოლიან და საავადმყოფოში მოხვედრილან. თითქოს რა არის ამაში საეჭვო? მაგრამ დაკვირვებულმა ხალხმა აღმოაჩინა, რომ ეს ორი მძლეოსანი არ გამოცხადდა დოპინგ კონტროლის ლაბორატორიაში თელ ავივში, ჩიკაგოსა და ათენშიც, სხვადასხვა შეჯიბრებების წინ.

ერთი სიტყვით, წყვილს 22 დეკემბერს იააფ-ში საქმე გაურჩიეს და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მძლეოსნობის მმართველ ორგანიზაციაში განაცხადეს, რომ კენტერის-ტანოუს არგუმენტები არასერიოზულია. ახლა, საქმე დამოუკიდებელ ტრიბუნალზე გადის, თუმცა ამთავითვე ცნობილია, რომ დამოუკიდებელი ტრიბუნალის ნებისმიერი გადაწყვეტილების შემთხვევაში ორივე მხარეს რჩება სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილის უფლება.

შაბათს დამოუკიდებელი ტრიბუნალი საქმეს ათენის ოლიმპიურ კომიტეტში განიხილავს და სავარაუდოდ მტყუან-მართალის თავის ვარიანტს რამდენიმე დღეში შემოგვთავაზებს.

ტრიბუნალი ხუთი წევრისგან შედგება, ხუთივე ბერძენია.

და ბოლოს, კენტერისისა და ტანოუს წინააღმდეგ ავარიის გამო აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ამ საქმის ანუ ავარიის დამადასტურებელი მოწმეების არსებობა წყვილს პირიქით, ხელს აძლევს.

**ტუტა სიხარულიძე**



## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი
### ჰოლანდია. 14-30 იანვარი

**IX ტური**

პეტერ ლეკო (უნგრეთი) — ნაიჯელ შორტი (ინგლისი) 1:0
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) — ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 0:1
რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — ლაზარი ბრუზონი (კუბა) 0,5:0,5
პეტერ სვიდლერი (რუსეთი) — ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) 1:0

# ინდოელი ვეფხვი დანტისტს გამოენთო



ლეკომ შორტი წალეკა

**ერთდღიანი** შესვენების შემდეგ მოჭადრაკეები კვლავ საჭადრაკო დაფებს მიუსხდნენ და მეცხრე ტური გადააგორეს.

დასვენებამ კარგად იმოქმედა უნგრელ პეტერ ლეკოზე, რომელმაც ინგლისელი ნაიჯელ შორტი დააშამათა და ლიდერ ვესელინ ტოპალოვს გვერდით მიუსკუპდა. ბულგარელ სტომატოლოგს კი ამ ტურში ალბათ ერთ-ერთი ურთულესი მატჩი ჰქონდა ვეიკ ან ზეეს ოთხჯერ მომგებ ინდუს ვიშვანათან ანანდთან, რომელთანაც მხოლოდ ძვირფასი ქულა გაიყო და წინა ტურში მოპოვებული ერთპიროვნული ლიდერობაც დაკარგა, პარტია კი ასე წარიმართა.

მოჭადრაკეებმა აგრესიულად დაიწყეს თამაში. მე-5 სვლაზე მხედრებით თითო-თითო პაიკი მოუკლეს ერთმანეთს და ახალი იერიშისთვის მზადებას შეუდგნენ. შეტევა პირველმა ანანდმა განახორციელა, მსუბუქი ფიგურები ცენტრში მოაქუჩა და თეთრების გამაგრებულ ხაზს ერთიანად მიაწვა. ტოპალოვმა დაცვაზე გადაიტანა ყურადღება, საკუთარ ტერიტორიაზე შემოჭრილ მტერს მედგრად დაუხვდა, უკან გააბუნძულა და 25-ე სვლაზე ზავზეც დაიყოლია.

წარმატების მისაღწევად დიდი ჯაფა დაადგა უნგრელ დიდოსტატს. ლეკომ და შორტმა საწყისი 20 სვლა მშვიდობიანი მარშით გაიარეს და მხოლოდ ჯარის მობილიზებითა და სტრატეგიული განვითარებით იყვნენ დაკავებულნი.

ძალის გადანაწილებაში მადიარმა აჯობა ალბიონელს. ლეკომ პაიკები ცენტრში ჯერ საიმედოდ გაამაგრა, შემდეგ კი მეტოქის ტერიტორიას მიუსია და პაიკიც გაუცვალა. მეომრებმა სისხლი დაინახეს თუ არა, გამხეცდნენ, ხოცვას შეუდგნენ და რამდენიმე მსუბუქი ფიგურა გაცვალეს. გაცვლა-გამოცვლაში ინგლისელმა ყურადღება მოადუნა, სტრატეგია არ გახავითარა და დაისაჯა კიდეც. 25-ე სვლაზე მისი ხელშეუხები გამაგრებულ ფლანგს ძალუმად შეუტია და ეს მომენტი პარტიაში გადამწყვეტი აღმოჩნდა. თეთრი ლაზიერი შავების ლაშქარს მარტოდმარტო ეკვეთა, ყველაფერი მოურღვია, მეტოქე ლაზიერს თავიც შეაკლა და თავისიანებს შეტევისთვის გზა გაუხსნა. თეთრებმაც გმირი ლელოფლის ამაგი დააფასეს, მისი წამოწყებული საქმე წარმატებით გააგრძელეს და 37-ე სვლაზე გამარჯვებით დაასრულეს.

თანდათან ილვიძებს რუსი ალექსანდრ მოროზევიჩი. ბოლო ორ ტურში მოპოვებული ორი ქულით მან ცხრილის ფსკერს დააღწია თავი და ეს სამარცხვინო ადგილი ამჯერად ტურში მის მიერვე დამარცხებული მასპინძელთა სახელით მოასპარეზე ივან სოკოლოვს გადაულოცა.

ლეკოს წარმატების მიუხედავად, ტოტალიზატორები ბოლომდე მაინც ვერ ენდობიან და ფავორიტად კვლავ ტოპალოვს ასახელებენ 2,5 კუშით. ბულგარელ სტომატოლოგს კუდში ინდოელი ვეფხვი მისდევს 2,75 კოეფიციენტით, ამ ტურის გმირი ლეკო კი მესამეა 6 კუშით.

**ლაშა გეგეჭკორი**



25-ე სვლაზე თეთრმა ლაზიერმა შავებს შეუტია

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 6,0 ქულა |
| 2 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 6 |
| 3 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 5,5 |
| 4 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 5,5 |
| 5 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 5,0 |
| 6 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 4,5 |
| 7 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 4,5 |



# ნენსი არ იწყენს

თითქოს ბევრჯერ დახწყვიტა გული სხვა ქალებში ძოთმაღლით ნენსი დულ ოლიის სვენ გორან ერიქსონმა, მაგრამ ნენსი მაინც არ იწყენს. პარლამენტის წევრებისა და ებრაელთა ელუტის ხსოვნის ფონდის გუნდების საქველმოქმედო თამაშზე ბურთი სწორედ მას გაავორებინეს.

# კვლავ ჰოლივუდური

რა თქმა უნდა, ლოს ანჯელესია, „სტეიპლს სენთერი". „ლეიკერსი" „სიეტლს" ხვდება, სილვესტრ სტალონე კი თავის ქალიშვილს თამაშის რაობას უხსნის. ამ დარბაზის პირველი რიგი, ტრადიციულად, ჰოლივუდს უჭირავს. ძვირი ბილეთებია.





# მაინც გადმოხტა

ჰამილტონში საქველმოქმედო კრიკეტს უბერავენ ავერ მეთხე დღეა: ახალი ზელანდია მსოფლიოს რჩეულთ ხვდება და ფულს ცუნამით შეჭირვებულთათვის აგროვებს. ამ მთვრალ სტრიკერს კი თავისი ადარდებს, უნდა გადმომხტარიყო ვესტპაკ პარკის მინდორზე და გადმოხტა.



# სნოუბორდი სცოდნია

ამას სნოუბორდიც სცოდნია. არც ემე ჟაკეს და არც როჟე ლემერს სნოუბორდი არ სცოდნიათ, მთებში სემინარზე მყოფ რაიმონ დომენეკს კი სცოდნია. საქმე კი ის არის, ფრანგთა საფეხბურთო ნაკრები ისე აათამაშოს, როგორც ეს იმათ შეძლეს, ვინც სნოუბორდისა არაფერი იცოდა.

# ბომბებზე უკეთ

რა იციან რუსებმა და, ეს მართლა იციან. თეთ ბომბების კეთებაზე უკეთ. ტურინში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე სწორედ ეს რუსული წყვილი ლიდერობს: ტატიანა ტოტმიანინა და მაქსიმ მარინინი. კოხტაა, არა?!



REUTERS ტურინიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია აბულეღიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხოძერივი, გაგა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია აბალაძე ლევან კილაურიძე ოთარ მალაკელიძე ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზეინდ მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge